



ქველ-
გუნდობა
საქართველს

~~№ (ერ.აპ.)
893-1
/ძ 492~~

~~7-3-4
268-69 აღგ.~~

თარგმანი
მ უ რ მ ა ნ ლ ე ბ ა ნ ი ძ ი ს ა

მხატვარი ფ. კონსტანტინოვი

მთარგმნელისაგან

არის თუ არა ძველი ეგვიპტე მსოფლიოში ლირიკული პოეზიის აკვანი? უკანასკნელ ხანს შუამეროლოგთა მიერ წარმოებულ კვლევას შედეგად აღმოჩენილია ლირიკული პოეზიის ცალკეული ძეგლები თიხის ფირფიტებზე ლურსმულით აღბეჭდილი ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულის მიწურულს ჩვენს ერამდე. ეს ის დროა, როცა ნილოსის აუზში მცხოვრებ ხალხს ჯერ კიდევ არ დაუწყარებია პირდაპირი კავშირი ტიგროსისა და ევფრატის აუზებში მცხოვრებ ხალხებთან. გამორიცხული არ არის, რომ მსოფლიო ლირიკის სათავეების ძიების გზაზე მეცნიერება ახალ სიურპრიზებს გაგვიმზადებს და კიდევ უფრო შორს წაგვიყვანს. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: კაცობრიობისათვის ცნობილი და ხელმისაწვდომი პოეზიებიდან ძველეგვიპტური პოეზია ჯერჯერობით უძველესია მსოფლიოში.

ძველეგვიპტური ლირიკა ამსხვრევს მცდარ შეხედულებას იმის შესახებ, ვითომც ეგვიპტელებს „საიქიო ცხოვრება ყოველთვის უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდათ სააქაო ცხოვრებაზე“. ამ გავრცელებული შეხედულების სიმცდარეზე ნათლად მეტყველებენ ეგვიპტური სატრფიალო სიმღერები. ეს არის სისხლსავსე, ხშირად ეროტიული, სავსებით მიწიერი ვნებების პოეზია. მისი შექმნა შეეძლო მხოლოდ სიცოცხლესდახარბებულ ხალხს. თვით დედამიწაზე ჭირს ცხოვრების მოწესრიგება, მძინეარებენ დესპოტი ფარაონები, ცად მიდიან პირამიდები და მილიარდობით ტონა ტვირთით წელში დრეკენ უბრალო ადამიანებს, თორემ თავისთავად აურაცხელი ღმერთის „არსებობა“ არ ახშობს ძველი ეგვიპტელის ხორციელ ვნებებს. არც ღმერთთა შორს ხორციელისაგან — ღმერთიც ცოლ-შვილიანია, ღმერთს ადამიანური ვნებები მიეწერება: „გამოეშურე, ო, ჩემკენ ჩქარა, რადგან მწყურის მე შენი ხილვა! რაც შენი სახე აღარ მინახავს, ღამეა ირგვლივ, თუმცა რაი გვინათებს ციდან!“ — მიმართავს

ქალმერთი ისიდა თავის მეუღლეს, ღვთაება ოსირისს, აგრეთვე ღვთაების, სეთის მიერ მოკვდინებულს.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, ვითომც ძველევგიპტური ლირიკა ასე ცალმხრივი იყოს. მსოფლიოს ეს უძველესი პოეზია თავს დასტრიალებდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბევრად უფრო სერიოზულ, ფილოსოფიურ პრობლემებს: სიკვდილ-სიცოცხლისას, სამართლიანობისა და ქეშმარიტებისას. პოეზიის ამ უკვდავ მოტივებს შემდგომ გადამღერება ეწერა რომსა და საბერძნეთში, ხოლო უფრო მოგვიანებით, შუა საუკუნეებში, სპარსეთსა და საერთოდ მთელ მსოფლიოში.

ორიოდ სიტყვა ძველევგიპტური პოეზიის ფორმებსა და პოეტიკაზე. მკითხველმა, ალბათ, იცის, რომ ძველევგიპტური ენა მკვდარი ენაა. ამ ენაზე შექმნილი ლექსის ფორმის სრულყოფილად შეგრძნება და შეფასება ახლა თვით ეგვიპტოლოგებისთვისაც კი გაჩნელებულია, რადგან ხმოვნები ძველევგიპტურ ენაში იგულისხმებოდა, მაგრამ არ იწერებოდა, და მთარგმნელისათვის დღეს უცნობია არა თუ სიტყვათა ტონალობა და ჟღერადობა, არამედ ზოგჯერ ცალკეულ სიტყვათა აზრიც კი. ეს დიდ სიძნელებს ქმნის თანამედროვე ენებზე ძველევგიპტური ლირიკის თარგმნის საქმეში. როგორც ვარაუდობენ, ეგვიპტური ლირიკის ნიმუშები მუსიკალური საკრავების თანხლებით სრულდებოდა. უმთავრესად ოთხსტრიქონიანი სტროფები, ალბათ, გარითმულიც იქნებოდა. მაგრამ ახლა, ზემოთქმული მიზეზებით, წაშლილია რითმისა და რიტმის კვალი. ასე რომ, ძველევგიპტური პოეზია თავისუფალი ლექსით ითარგმნება.

და ყოველივე ამის მიუხედავად, ძველევგიპტური ლირიკა გვანცვიფრებს თავისი მშვენიერებით, ადამიანური გრძნობების გამოხატვის სიწრფელითა და უშუალობით. ყოველი კულტურული ერი თავს მოვალედ თვლის იქონიოს თავის ენაზე მსოფლიოს ეს უძველესი პოეზია. გასული 1968 წელი მე მის თარგმნას მოვანდომე, რითაც დიდი სიამოვნება მივიღე. კმაყოფილი ვიქნები თუ ჩემი თარგმანი ნაწილობრივ მაინც აგრძნობინებს მკითხველს დედნის მშვენიერებას.

მურმან ლებანიძე



სატრფიალონი



[ძალა სიყვარულისა]

შენდამი ტრფობა ჩამედვარა სისხლში და ხორცში,
სისხლსა და ხორცში ღვინოსავით გამიჭდა იგი,
ვით ცხარე საკმაზს გაუკდება ნარიჩჯის წვენი,
ანუ რძეს — თაფლი სურნელოვანი.

ჰოი, იჩქარე, მოაშურე დაიას შენსას,
როგორც სარბიელს მიაშურებს ფიცხელი ცხენი.
ანუ ხარი დაფეთებული —
სასურველ ბაგას.

ცათა ნიჭია ეგ სიყვარული,
ცეცხლია ჩალას წაკიდებული,
შევარდენია დაგეშილი,
მსხვერპლს ჰაერშივე რომ დააცხრება.

ვარ გონმიხდილი წყალსატევის მშვენიერებით.
 ბაგე მიუგავს ჩემს დაიას ლოტოსის კოკობს,
 მკერდი — წყვილ ნარინჯს,
 და როდესაც ჩავიკრავ გულში,
 ძალა არ შემწევს,
 გავხსნა მკლავები.

მომხიბლა მისმა თლილმა შუბლმა და დამატყვევა
 ვით კაკანათმა კვიპაროსისამ.
 შე კულულები ძუა-მახედ, ხაფანგად მექცა
 და შიგ გავები
 გარეული ბატივით უცებ.

არა, არ ძალმიძს სიყვარული შენი უარყო.
 იყავ ერთგული გატაცების დამათრობელის!

არ განვუდგები მე ჩემს სატრფოს,
 ო, თუნდა მირტყით!
 თუნდა კისრამდე ჩამაყენეთ
 ჭაობის ლაფში!
 თუნდა გამაგდეთ სირიაში
 მათრახის ცემით!

თუნდა გამაგდეთ ნუბიაში
კეტით და კომბლით!
თუნდ უდაბნოში გამაძევეთ
პალმის როზგებით
და თქვენ ნილოსის შესართავისკენ!

მე არ ავყვები რჩევას თქვენსას და შეგონებას,
არ აღვუდგები წინ ჩემს სიყვარულს.

4

მწყობრ: დგაფუნი გააქვთ ნიჩბებს ჩვენი ნავისას.
მივყვებით ნილოსს, ხელში ლერწმის კონა მიჭირავს
მინდა ჩავასწრო მემფის-ქალაქს და პტას შევეთხოვო:
მიჯნური ჩემი ამაღამდელს მარგუნოს ღამეს!

მდინარე — ღვინოა!
ღმერთი პტა კი — ლერწამი მისი,
ღმერთქალი სოხმეთ — ფოთლებია წყალმცენარეთა;
კოკრები მათი — ღმერთქალია ტურფა იარიტ,
ხოლო ყვავილი — ღმერთი ნეფერტუმ.

ბრწყინვალეებს ნეტარხსენებული თვისი მშვენიებით,
ზეიმობს იგი და ნათელი ადგას ქვეყანას.
შორს ჩანს მემფისი, როგორც თასი ნარინჯით სავსე,
უფლისა ხელით
ტურფად დადგმული.



უნდა ჩავწვე ლოგინში და
 თავი მოვიადამყოფო.
 მეზობლები სანახავად მოვლენ.
 მათთან ერთად მოვა ჩემი სატრფო
 და აქიმებს გააწბილებს —
 იცის სატრფომ სატკივარი ჩემი!

ჰა, ქალაქგარეთ დაიას სახლი,
 გაღებულია ორკარედი ჭიშკარი ფართოდ,
 ჩაწეულია ურდული ჭიშკრის.
 განრისხებულა ჩემი ტურფა უკიდურესად!
 მეკარედ მაინც ამიყვანდეს! გავამწარებდი,
 გამოვიყვანდი წამდაუწუმ მოთმინებიდან,
 რათა ყოველდღე მომესმინა ეს ხმა მრისხანე,
 მის წინ ვმდგარიყავ ყმაწვილივით თავჩაქინდრული.

უფლის არხს დაყყევ, გადავცურე და გავუხვიე
 არხში, რომელიც მზის ღვთაების სახელს ატარებს,
 დროით ჩავუსწრო, ვჩქარობ, ხალხის დაბანაკებას —
 გაშლიან კარვებს, დასცემენ ბანაკს,
 მერტიუს არხის შესართავი რომ გამოჩნდება.

მოქერი და ვშიშობ ღლეობაზე დაგვიანებას,
გული კი, გული ცად მიელტვის ღვთაებას მზისას.
შევთხოვ, მწედ ჰექმნას,
შემახვედროს იამიას ჩემსას,
როდესაც იგი მიაშურებს უფლისა ტაძარს.

ვიხილეთ არხის შესართავი ორთავემ ერთად.
ჰელიოპოლში წარიტაცე შენ ჩემი გული,
და მე გამოგყევ ტევრისაკენ, და შევეფარეთ
უზუნაესი მბრძანებლის წარაფს.

მზის ღმერთის ხეებს შევატეხე პაწია ტოტი,
პაწია ტოტი შევატეხე ჩემთვის მარაოდ.
პირი ვქენ მისი წარაფისკენ —
გავცქერი ტაძარს.

სქელი ბალზამით დავიმძიმე ხუჭუჭი თმები,
ავივსე მუჭი ატმის რტოებით
და თავს ეგვიპტის მბრძანებლად ვსახავ —
შენს მკლავებში
გამომწყვდეული.





მშვენიერი და სასიხარულო სიმღერების
დასაწყისი — მღერის ღაია, როცა იგი
მინდვრიდან ბრუნდება

1

ო, მიგიხვდი, გამოვიცან წინასწარ,
ძმავ ჩემო, საწადელი შენი!
შემიყვარო საყვარელმა —
ახლა ჩემი საზრუნავიც ეს არი.

ჩიტუნებზე სანადიროდ გამოვედი.
ცალ ხელში მაქვს აშრიალი,
მეორეში — ძუა-მახე
და ხელშუბი მჭრელი.

პუნტის მხრიდან ეგვიპტისკენ
მოფრინავენ ფრთოსნები,
რომელთ გაჟღენთილი აქვთ
ფრთა-ბუმბული ზმირინით.
ჰა, პირველი სატყუარას ეძგერა,
ედგერა და
აშრიალში გაება.

პუნტის ქვეყნის სურნელოვან ფისით
აუვსია ჩიტუნის კლანჭები.
გამოვხსნათ და შევისროლოთ ცაში,
რათა ორნი მარტოდმარტო დავრჩეთ!

„მშვიდობითო“, —
ჩამოგვესმა სიხარულის ჭყვივილი
ბალზამით გაპოხილი
მშვენიერი ფრინველის,
როცა დავდგი ძუა-მახე ხელახლა,
როცა ორნი მარტოდმარტო დავრჩით

ო, რამხელა სიხარული არის —
ველად შეყრა მიჯნურთან!

კაკანათში გაბმული
საწყალობლად ყვირის
გარეული ბატი.

ვით ფრინველი მახეში,
სიყვარულის ბადეში
გაბმული ვარ მეც.

თუ არ მოვინადირე
დღეს ფრინველი ამ დილით,
შინ რა პირით დავბრუნდე,
რა პასუხი გავცე
დედას?

ერთიც არ გამიშლია
აშრიალი დღეს:
მე თვითონ ვარ გაბმული
სიყვარულის ბადეში.

3

გარეული ბატი
თავდაყირა ეშვება
ყურეში და ყვინთავს.
ჩიტუნების გუნდი
დასტრიალებს ყურეს.
ჯანდაბას ყველაფერი!
ეგ რა ჩემი საქმეა,
როცა სიყვარულის
ტყვე ვარ მთელი არსებით.



მარტო ვარ და შეეხარი
შენს სიყვარულს უშენოდ!
შეხმატკბილებულია,
ვიცი, ჩვენი გულები.
სილამაზე ჩემი
შენსას შეეცილება

4

საყვარლის ბინით გამოველ,
ვიხსენებ წუთებს გამოვლილს —
გული გახეთქას ლამობს.

ნუგბარი სასმელ-საჭმელი
ჩემთვის მწუთხეა მარილზე
და ბატის ნალველაზე
მწარეა ტკბილი ღვინო.

მხოლოდლა მისი კოცნაა
მაცოცხლებელი გულის.
მწედ მექმენ, შემინარჩუნე
რაც მიპოვნია, ამონ!

5

ო, როგორ მინდა, ძვირფასო ჩემო,
შევიქნე შენი მზრუნველი ცოლი,

შენს ხელში ჩემი ხელი ესვენოს
და ლხინად გექცეს ტრფიალი ჩემი.

გულს შევღალადე — ის შენს მკერდშია! —
..ო, ამალამდელს მაჩუქე ღამეს,
ქმრად მიქმენ, ვისიც მაქვს სიყვარული,
უმისოდ კუბოდ მიჩანს საწოლი“.

ო, ჯანმრთელობა
და სიცოცხლე თვითონ შენა ხარ!
შენ ცოცხლობ — ჰოი, ბედნიერებავ!
შენ ჯანმრთელი ხარ — ო, სიხარულო
გულისთვის,
შენსკენ რომელიც ილტვის!

6

..ირიჟრაჟა, ადექ, დროა, გასწი!
დაგათენდა!“ — ხმა ჩამესმა მერცხლის.
ნუ, მერცხალო, ნუ მოგივა გული,
ნუ დამტუქსავ!

თავის საწოლ დარბაზშია იგი.
მეც იქ ვყავარ, და ზეიმობს გული
ვეუბნები: „არა, არა, არ წავალ!“
და ხელში აქვს ვაჟკაცს ჩემი ხელი.

სასეირნოდ გამოვდივართ ბაღში,
დაბურულს და მყუდრო კუთხეს ვირჩევთ.
ქალთა შორის ბედნიერი მე ვარ —
ჩემი სატრფო გულს არ დამიკოდავს.

7

გაეჩერებივარ ჭიშკარს —
ჩუ, სადაც არის მოვა! —
თვალს არ ვაცილებ შარას
და მცირე ჩქამიც მაკრთობს.

რა დამრჩენია? — ლოდინი
და სიყვარულის დარდი.
სიყვარულს, მხოლოდ სიყვარულს
ვეპასუხები გულით.

მალემსრბოლს გამოჰგზავნიდი,
გამოჰგზავნიდი მაცნეს,
ბარემ აშკარად ეთქვა
შენი ღალატის ამბავი.

გატყდი, რომ სხვა გაიჩინე,
გატყდი, სხვა ქალი გახსოვს.
ძალი თუ შესწევს, ხრიკებით
შენს გულში ჩემი შეცვლის?!

შენი სიყვარული ანაზღად გამახსენდა!
 თმა დაწნული მაქვს სანახევროდ:
 თავპირისმტკრევით გამოვრბივარ
 შენს საძებნელად —
 არად ვაგდებ
 სავარცხელს და თმის ვარცხნილობას.

ო, თუ გიყვარვარ, როგორც ერთ დროს,
 და ისევ მელი —
 მაშინ დავიწნავ დალალებს ხელად,
 მზად ვიქნები, ძვირფასო, წუთში!





სასიხარულო სიმღერების დასაწყისი

1

ლურჯი დიდილო ჩავაწანი
ჩემს გვირგვინს ფრთხილად.
როგორც წყლით სავსე თულუხები წონასწორდება,
ასე თანხმობით ძგერენ ახლა ჩვენი გულები —
გული მივუშვი ნებაზე და
შენს მკლავებში მორჩილად ვწევარ.

სურვილო ჩემო და თვალების უცხო წამალო —
შენს დანახვაზე მიბრწყინდება უცებ თვალები!
ზედ გეტმასნები სიყვარულის მარად მძებნელი,
გულს წარუშლელად აღბეჭდილო
მეუღლე ჩემო!

დიდებულია ეს წუთები!
გაგრძელდეს მარად,
გაგრძელდეს დაე, უკუნისით უკუნისამდე
იმ დღიდან, რა დღეს მე შენთან დავწვიქ
და რა დღესაც
ჩემი გული შენ აღამაღლე.

ო, ილხენს იგი, თუ მწუხარებს —
არ მიმატოვო!

2

ჩემს გვირგვინშია ხვართქლას ყვავილი —
ვწნავ გვირგვინს შენი ნორჩი შუბლის
დასადაფნავად.

აკი გეკუთვნი მე შენ ბაღივით,
სადაც ყვავილებს და სურნელოვან,
ტკბილსურნელოვან მწვანე ბალახებს
თავს დავტრიალებ.

შენ წყალსატევი გასჭერ ბაღში
და ჩრდილოეთის ქარის ზუზუნს
მოაქვს სიგრილე,
როცა წყლისპირ ვსეირნობთ ერთად.

ხელთ გიპყრია შენ ჩემი ხელი.
ეფინება სიამე სხეულს.

ზეიმობს გული. მივაბიჯებთ და
ჩვენი მხრები ერთურთს ეხება...

ტკბილი ღვინოა შენი ხმა ჩემთვის —
მე მისით ვცოცხლობ.
მე ჭამა-სმარე უფრო მეტად
ნაზი მზერა მჭირდება შენი.





[მისი ბაღის ხეები]

1

ლაპარაკობს ბროწეულის ხე

მისი მიჯრით მიწყობილი კბილები
ავირჩიე თარგად ჩემი მარცვლების
და ნაყოფიც, ჩემი მრგვალი ნაყოფი
მის ძუძუ-მკერდს მივამგვანე დაბურცვილს
ზამთარ-ზაფხულ
ვშრიალებ და მწვანე ვარ.

ბალზამით და სურნელოვან ზეთით
გაპოხილი მშვენიერი წყვილი,
ღვინითა და ლუდით ემხში შესული
მოაშურებს საჩრდილობელს ხვატში,
ჩემ კარავქვეშ
ჰპოვებს მყუდრო საგანეს.

იცვლებიან წელიწადის დრონი,
შიშვლდებიან ხენი, სცვივათ ფოთლები,
მე კი ვდგავარ ზამთარ-ზაფხულ მწვანე
და ვშრიალებ თორმეტივე თვეს.

ჯერ ყვავილი დამცვენია არც კი და
ნაცვლად უმალ მებერება კვირტები.
შაბაშ, ბალში პირველობა ჩემია,
აფსუს, ვიყო მეორე!

დააბრალეთ თქვენს თავს, ამიერიდან
დამცირება თუ გაბედეთ ჩემი!
დე აშკარა გახდეს თქვენი ხრიკები,
გაგამხელთ და გაგცემთ!

საკადრისად დაისჯება ქალი,
ლოტოსისას მათრახს დააწვენევინებს,
იმ მათრახით კუროს დაასჯევინებს —
საყვარელზე იყრის ქალი ჯავრს.

დამათროო ცხრანაირი ლუდით,
ბრალს დასდებს და ბნელში ჩაამწყვდევინებს,
სალაციცოდ შეყრას გააცდენინებს —
აყურყუტებს მთელ დღეს ლერწმის ხულაში.

— მართალს ბრძანებს ბროწეულის ხე!
მოვთაფლოთ და მოვუქონოთ თავი,
რათა მთელ დღეს შეგვიფაროს ჩრდილში!



ლაპარაკობს ლელვის ხე

შვება არის მორჩილება ჩემი ქალბატონის!
 ტოლი არ ჰყავს ჩემს ქალბატონს
 ბანოვანთა შორის!

და მხევლები თუკი ეცოტავენა,
 პირფარეშად მე დავუდგე, მგონი.

ვიზრდებოდი სირიაში, მომიყვანეს შორს,
 ტყვედ მომგვარეს ქალბატონს და
 იმის გულის სწორს.

სურდა ამ ჩემს ქალბატონს და ენება,
 აქ ვყოლოდი მისი ბალის მშვენებად.

თვითონ სვამენ, თვრებიან და ტკბებიან,
 მე კი წვეთი, წვეთი არა მრგებია.

სქელ რუმბებში ცივი წყალი დგას —
 არ მრწყავენ და
 არ მასმევენ წყალს.

ლაციცი რომ მოსწყურდებათ,
 ღვინო რომ მოსწყინდებათ,
 ჩემი ჩრდილი მხოლოდ მაშინ სჭირდებათ.
 ჰოი. ტურფავ, ჩემი ცოდვა გიწევს,
 ვფიცავ,
 რისხვა დაგატყდება თავს!

უცბად ალაპარაკდა
 ლედვსულელი პაწია —
 მისი ხელით დარგული

ლედვსულელის შრიალი
 თაფლის სურნელს გვაგონებს.
 თვალს ახარებს მსუქანი
 და მდიდრული შტოებით.

დახუნძლულა ნაყოფით,
 თვით იასპზე წითლად.
 ფირუზს უგავს ფოთოლი —
 ელავს მოჭიქულივით.

ღერო უგავს მოცისფრო
 ქვისგან ნაქანდაკარს.
 ხვატში ნიავს მოგვბერს და
 თვისკენ გვეპატიუება.

ქალი, ბადის პატრონი,
 ჯდება, წერილს წერს
 და მებალის ფეხმარდ გოგოს
 საყვარელთან ატანს:
 „მობრძანდიო, სტუმრად დაგსვა
 ბანოჯანთა შორის!“

„ჩემი ბალი შენთვის ჰყვავის,
ფანჩატური გელის,
ბალღებივით იხარებენ
შენი მოსვლით ჩვენები“.

„წინ-წინ ჯორკიდებულით
მსახურები აფრინე.
წინათგრძნობა შენთან შეყრის
ღვინოსავით მათრობს...“

ცხრანაირი ჯურის ლუდი
მსახურს მოაქვს კასრებით;
თონეული, ბოსტნეული,
ხორაგი და ხილი.
ო, მობრძანდი, ჩემს ტოტებქვეშ
სამი დღე და სამი ღამე
გაატარე ტკბილი!

მიუჩინეს მარჯვენა
მხრიდან ტურფას სტუმარი.
ქალი ათრობს ვაჟკაცს,
ხოლო შემდეგ ჰმორჩილებს.
სადაც იდგა სასმურები,
იქ სტუმრები წვანან,
ხალხი თვრება და დიაცო
საყვარელთან რჩება.

ჩემს რტოებქვეშ, ჩემს ჩრდილში
უყვართ განმარტობა,
მაგრამ უტყვი მოწმე ვარ,
სიტყვა არსად დამცდება,
ჩემთვის
უხმოდ ვდგავარ.





პირველსიტყვა სიხარულის მომნიჭებლისა

სიმღერა პირველი

სწორუპოვარი ერთი ქალწული
სასურველია ჩემთვის ქვეყნად
ყველაზე მეტად, —
მაგონებს იგი ახალწლის ვარსკვლავს,
ბედნიერი წლის დასაწყისში.

შუქს აფრქევებს მისი სათნოება,
მბზინვარებს მისი სახის კანი,
სულს ათრობს მისი შემოხედვა,
ტკბილმომუბრობენ ბაგეები
თავდაჭერილად.



ელვარე მკერდი,
ზუდ კისერი ამაყად მშვენი...
ხალასია და უტყუარი გიშერი თმების.
თოთო ხელები დაბურცვილი, მჯობი ოქროსი,
თლილი თითები,
შესადარი ლოტოსის გვირგვინს.

დიდებულია მიხრა-მოხრა, მსვლელობა მისი,
ხოლო გზადაგზა თეძოები მოხდენილები
თითქოს პატრონის სიტურფეზე მასლაათობენ.
ჩამწყდება გული,
დიდებულად თავს რომ დამიკრავს.

შემხვედრ ვაჟკაცებს
აიძულებს შებრუნდნენ მისკენ,
გააყოლონ მიმავალს თვალი.
ბედნიერია და ტოლებში გამორჩეული
ვაჟი, ვისაც ის გაულიმებს.

საკმარისია, გამოვიდეს შინიდან გარეთ —
ყოველ ნაბიჯზე,
როგორც ქალღმერთს, ესალმებიან.

სიმღერა გორამ

ორ სიტყვას იტყვის
სხვათა შორის ჩემი მიჯნური,
იტყვის და, ბეჩავს უცბად გული შემიქანდება.

ძილში მახოდებს მე მისი ხმა ავადმყოფსავით.
გვერდი-გვერდ დგანან ჩვენი სახლები, -
ჯერ არ დამიდგამს
მის ეზოში აქამდე ფეხი.

ჩარეულიყო დედაჩემი საქმეში ნეტავ,
აეკრძალა თვალის ჭყეტა და მოშტერება.
ლამობს და ლამობს
ჩემი გული მის დავიწყებას,
ნაცვლად კი — ვაი,
სიყვარულის ცეცხლით ბრიალებს!

რა გულქვა არის! დახე მაგას, რა უგულოა!
მინდა მივიდე, ჩავეხვიო, ჩავიკრა გულში,
მინდა მოვიდეს,
ჩემი თავი დედაჩემს სთხოვოს,
ცოლად მომეო, —
ის კი, რა ვქნა, ვერაფერს ხვდება.

თუ ბედისწერამ
ქვეყნად ქალთა ოქროს მეოხად
შენ განგიკუთვნა
ჩემი თავი, ტურფა ძამიავ,
მოდო, გიხილო და ვილხინო შენი მშვენებით,
მოდო, დედ-მამა გამიხალისო,

მოდო, მოჰგვარე აღტაცება უცხოთა თვალებს,
შენ, ჩემო ტკბილო ტყუპისცალო და ორეულო!

სიმღერა მესამე

სამი სურვილი ამ ჩემს გულში შეერთებულა:
ტადარში შევალ, ვნახავ ჰატორს,
და მას, ოქროსას,
თაყვანს ვცემ და შევევედრები.
შემომეყარა გზაზე მეჭი—ეტლში ჯდა თვისი
ყმაწვილკაცებით გარშემორტყმული.

რალა ვქნა ახლა? ავიცდინო შეხვედრა როგორ?
ან რანაირად ჩავუარო საბრალომ გვერდით?
გზა მდინარეს ჰგავს:
ვაი, ფეხქვეშ მიწა მეცლება.

ო, დაცხრი, გულო, გულო ჩემო გამოუცდელი!
რისთვის მაქეზებ,
წინ აღვუდგე ნეტავი მეჭის?
განა არა სჯობს,
რა ერთმანეთს გავუსწორდებით,
გავცე თავი და
გადავხედო წყალობის თვალით?

..ვარ გაჩენილი შენს სალხენად!.. —
ეს ვაგრძნობინო,
და ისიც უმალ დიდ პალატში დამაბინავენს,
იქ, სადაც ახლავს დიდებული ამალა თვისი.
სიხარულისგან
აახელს ჩემსას ადიდებს სამგზის

სულ ცოტა ოთხჯერ მაინც მიმატებს
გულის ფრიალი,
სიყვარულზე როდესაც ვფიქრობ.
საშველს არ მაძლევს, ნაბიჯს მირევს,
აჩქარდება, ხტის დაბმულივით.

ვერ გადამიცვამს ტანზე კაბა,
ვერ ამიღია ხელში მარაო,
ვერ შემისურმავს წარბი სწრაფად,
ვერ წამიცხია უმარული სურნელოვანი!

გამახსენდება მიჯნური და —
შეხტება მკერდქვეშ:
„ნუ აყოვნებო,
წინ, სასურველ მიზნისკენ გასწი!“
ო, დაცხრი, გულო უგუნურო,
დაცხრი, დაწყნარდი,
ნუ მაწამებ გიჟური როკვით.

ის თვითონ მოვა,
მოვა შენთან, მოვა სატრფო და
ცნობისმოყვარე
თან მოჰყვება ხალხის თვალები.
ნუ იზამ ისე, რომ დამძრახონ:
„მთლად შეშალაო,
გადარიაო სიყვარულმა ჭკუაზე ქალი!“

ო, დაცხრი, გულო,
სიყვარულში მომთმენი იყავ:
სდექ და, სულ ცოტა,
ოთხჯერ მაინც უკელი ძგერას!

სივლერა მახუთა

ცათა მბრძანებელს ხუთი ვუთხარ საგალობელი,
წარვსდექ,
თაყვანი ვეცი ჰატორს, ქალღმერთს ოქროსას.
ცად აღვაგლინე ქება ყოვლადძლიერის მიმართ,
აღვსებულმა მადლიერებით.

ლოცვა-ვედრება

ყურად ილო ოქროს ქალღმერთმა
და ჩემი ნახვა
შთააგონა ქალბატონს ჩემსას.
ბედნიერება მერგო წილად განუზომელი —
შინ მეწვია
ტურფა დაია!

აღტაცება და სიამაყე მე დამეუფლა
როცა მომესმა:

„მოდის! მოდის!

შეხეთ, ის არის!“

გამოჩნდა ის და, მისი ეშხით აღმოდებულმა
ჭაბუკებმა დახარეს თავი.

ცათა მბრძანებელს
მე ვუკმიე გუნდრუკ-საკმელი
და მანაც ტურფა
ძღვნად სამი დღით გამომიგზავნა.
ვაფიცე ღმერთი,
მეტს არ დარჩა.
ახლა მარტო ვარ,
მარტოდმარტო, მეხუთე დღეა.

სიმღერა მამავსე

ექვსი ნაბიჯი იყო ჩემგან ღია კარამდე,
როცა მის ეზოს ჩავუარე შემთხვევით ერთხელ.
დედის მახლობლად იდგა იგი, დები და ძმები
ეტმასნებოდნენ,
ეხვეოდნენ ჭაბუკს ალურსით.

გამვლელ-გამომვლელს
უნებურად ემსჭვალებოდა
გულს სასოება — შემკობილის ყოვლი სიკეთით,
მაღალ ღირსებით მირონცხებულ,
კეთილშობილ და სწორუპოვარ ჭაბუკისადმი.

რომ ჩავუარე, გადმომკრა თვალი,
თვალი შემავლო ჭაბუკმა სწრაფად.
მე შევისწარი მისი მზერა და
სიხარულით ვეწიე ზეცას.

ახლა ვინატრი,
გულისნადებს მიმიხვედეს დედა.
ო, ნუ აყოვნებ,
გვედრები, ოქროს ქალღმერთო,
შენ აღამაღლე დედის გული
მიხვედრის ნიჭით!
და აღსრულდება —
გულისსწორის ოჯახში შევალ.

ჯალაბის თვალწინ გადავკოცნი.
მე არც შინაურს, არც გარეულს არ ვერიდები.
დაე, ხალხს შურდეს,
რომ შემიცნობს ჩემი რჩეული!

ზეიმს გადვუხდი მე ჩემს ქალღმერთს.
მკერდში გული ო, როგორ ბორგავს!
ვეტყვი ოქროსას:
„ნება მომეც, ექვსი ღამე ვუცქირო რჩეულს,
ექვსივე ღამეს
არ მოვხუჭო დიღამდე თვალი“.

სიმღერა მშვიდი

მეშვიდე დღეა, არ მინახავს ჩემი მიჯნური.
ავადმყოფობამ დამჯაბნა და დამრია ხელი.
დამძიმებულა ჩემი სხეული.
გული მიმდის,
ღაკარგე გონი.

მოდინ ბრძენი აქიმები — რას ვაქნევ წამალს,
სნეულისათვის მათს წამლებში რა ჰყრია ნეტავ?
საგონებელში ჩავარდნილან შემლოცველნი, —
ვერა და ვერა,
ვერ მიმხვდარან სატკივარს ჩემსას.

სახელი ჩემი დაიასი მითხარით ყურში,
ჩამიჩურჩულეთ — მოვრჩები და ავდგები ზეზე.
მოვიდეს მისგან მოციქული და,
გაცოცხლდება ეს ჩემი გული.

შორს ყოველგვარი წამალი ჩემგან!
შორს წიგნები სააქიმონი!
ავგაროზია — ჩემთვის სატრფო:
მისი ხილვით მე ვარ ჯანმრთელი.

ახალგაზრდობას — შემოხედვა მანიჭებს მისი,
მის ლაპარაკში, მის სიტყვებში — ვპოულობ ძალას,
მის მკლავებშია — უკვდავების წამალი ჩემთვის.
მეშვიდე დღეა,
ჩემი ტურფა არა და არ ჩანს.





[ს ა მ ი ს უ რ ვ ი ლ ი]

1

ო, იჩქარე, მოაშურე დაიას,
შენს დაიას, მსგავსად ელჩის, რომელს
შორი გზიდან ელის თვისი ხელმწიფე —
მოკუთმენლად მასთან შეყრა სწადის.

იმ ელჩისთვის უყენიათ ეტლები,
იმ ელჩისთვის
ყველგან მზად ჰყავთ ცხენები.
სადაც მივა, შეუბამენ უმალ,
რათა არსად არ შეფერხდეს გზაში.

ვინც მიაღწევს
გულისწორის სახლს,
გული მისი —
იხარებს და ილხენს.



ახ, მოგერბინა ნეტავი ჩემთან!
 მოვარდნილიყავ
 ვით ფიცხელი სამეფო ცხენი,
 ათას ცხენში გამორჩეული,
 შნო და ლაზათი
 თვითონ მეფის საჯინიბოთა.

რომელს ჰკვებავენ დარჩეულ ქერით,
 სცნობს ნაბიჯზე რომელს პატრონი;
 რა გაიგონებს მათრახის სტვენას,
 შეჩერება ძნელია რომლის.

საუკეთესო ეტლს არ ძალუძს
 გასწრება მისი.
 უმაღვე გრძნობს დაიას გული,
 ახლოს არის როდესაც იგი.

ოჰ, დაიასკენ რომ გამოსწევდე,
 მსგავსად ქურციკის,
 უდაბნოში რომელიც მიჰქრის;
 მუხლთ ეკვეთება,
 გასწყვეტია ილაჯი რომელს,
 შიშს შეუპყრია
 მთელი მისი სუსტი არსება;

დასდევნიანი
მონადირე კაცები რომელს,
ზედ მისევიანი
მწვერები და ღრუბლები მტვრისა;
ეს შესვენება —
მისთვის მხოლოდ დაბრკოლებაა,
წინ კი მდინარე
გადაშლილა შარაგზასავით...

ცოტა დრო უნდა
შენი ხელის ოთხჯერ დაკოცნას,
დაე, დაგჭირდეს შენ ნაკლები,
უფრო მალე მიაღწიო დაიას სენაკს.
ხარ მძებნელი სიყვარულისა,
ეს იმიტომ, რომ
ასე სწადის ქალღმერთს ოქროსას.





დასაწყისი
ტაბილსასურველი გამოთქმებისა
რომლებიც ნახტ-სობეჟს ეკუთვნის —
ნეკროპოლის სწავლულს

1

თუ შენ ადგები
და დაიას ეწვევი სახლში,
თუ მიაშურებ დაიას სენაკს,
განათდება და სახეს იცვლის სენაკი იგი,
გამშვენდება ცეკვა-სიმღერით.
ამასთან ერთად,
ღვინოც ასვა, არ დაგაფიწყდეს.

მაშინ აჯობებ,
დაამარცხებ მის ეშმაკობას
და მთელი ღამე მიაგებ ჯილდოს.

და გეტყვის იგი:
„მო, მკლავებში გამომიწყვდიე!“
გათენდება და,
ხვალაც, ზეგაც, იგივე ჰქენი.

2

როცა შედიხარ სიმღერებით დაიას ჭერქვეშ,
თუ შენ მარტო ხარ და არავინ არა გყავს
გვერდით,
მაშინ იქცევი მის მეჯლისზე სურვილისამებრ,
ხოლო ქარი
გირლიანდებს კედელზე არხევს.

ეშვება ზეცა,
ებჯინება ანაზდად ჰაერს,
ვერ იმაგრებს ჰაერი ზეცას —
თვისი სურნელი მოაქვს შენთვის
ზეცას, რომელიც
ირგვლივ ყველას და ყველაფერს ათრობს...

აბა, შენ იცი,
გაჯილდოებს ოქროს ქალღმერთი,
გასაჩუქრებს და —
შენც იგემე ცხოვრების სიტკბო!

3

კარგად ისვრის
ქამანდს ტურფა დაია,
არ აწუხებს
მენახირის ბაჟი.
ყელში მიჭერს
ნაწნავეების მარყუქს,
თვალთა შუქით
მიზიდავს და მითრევს,
მარგალიტის
ყელსაბამით მბორკავს
და შებორკილს
ბოლოს ბეჭდით მდაღავს.

4

რად ეუბნები შენს გულს ასე:
„უინი მჭირს მისი, მწადის იგი,
ჩახვევნა მწყურის!“
ვფიცავ ამონს, გავიხდი სამოსს,
დავიჭერ ხელში
და მოგივალ დედიშობილა.

5

წყლის პირად ვნახე ჩემი ძამია,
იჯდა, ჩაეშვა ფეხები წყალში.
წინ ედო ხონჩა პურ-ღვინით სავსე, —
სისავსით ჩემი გულ-მკერდის მსგავსი.

ვაჰმე, რა მიყო ჩემმა დაიამ!
 გავჩუმდე განა? დამტოვა კართან,
 თვითონ კი უცბად შევიდა სახლში.
 ერთიც არ უთქვამს:
 „ჩემო ტურფავ, შინ შემო ჩემთან“.
 ყრუ იყო ჩემთვის წუხანდელ ღამეს.

მე ჩავიარე მის სახლთან ღამით.
 დავაკაკუნე, მაგრამ კარი არვინ გამიღო.
 ჩინებული ბნელი ღამეა —
 ო, ურდულო, გაგალო მინდა!

ო, კარო, ჩემო ბედისწერავ და
 ო, კარო, ჩემთვის კეთილო სულო!
 იქ, შიგნით, საკლავს დაგიკლავენ და
 შენ, ყოვლადძლიერს, შემოგწირავენ!

რქადაგრეხილ ხარს —
 შენ დაგიკლავენ, კარო!
 ბოროლა მოზვერს —
 შენ დაგიკლავენ, კლიტევ!
 ჩასუქებულ ბატს —
 თქვენ, ანჯამებო!
 ქონს, გასაღებო, შენ შეგწირავენ!

საუკეთესო ნაჭრები ხარის —
იტყვის ტურფა — ქარგლებს ხუროსას!
რათა სახლს კარი დაჭკიდონ ჩალის,
ურდული კი —
უბრალო ლერწმის.

დაე, მობრძანდეს,
როცა სურდეს, ჩემი ძამია,
ღია დახვდება ყოველთვის კარი,
სახლში — საწოლი, ძვირფასი ზეწრით,
და საწოლში —
ტურფა ქალწული...

და მეტყვის ტურფა, როცა მივალ:
„სახლი ეკუთვნის ქალაქის თავს
მარად და მარად“.





[მდინარის პირას]

1

გამოდმით მე ვარ, გაღმით — დაია,
შუა ჩაგვიდის მდინარე — ვაგლახ,
წინ აღსდგომია სიყვარულს ჩვენსას.
წევს ნიანგი რიყეში, მზეზე.

ფონს მივყვები და მივარღვევ ტალღებს,
ჰა, გავაღწიე შუადინებას.
გული სავსეა გაბედულებით.
ხოლო მდინარე ასაღები ციხე-ბურჯია.

ჩე სიყვარულის მიცავს ძალი, —
როგორც შელოცვა წყალწაღებულს
წარმოთქმული ქალწულის ბაგით.
ო, ვხედავ, როგორ ახლოვდება და
ხელს ვიწვდი მისკენ.

შეხტა გული, შეითამაშა,
მარადისობას ეწია თითქოს.
ო, დედოფალო, ნუ აყოვნებ,
მომიახლოვდი.

2

ჩავეხვევი და ვგრძნობ, პასუხად
მეხვევიან მისი მკლავებიც:
ტკბილ-სურნელოვან ზეთის ცხებას,
სურნელებას პუნტის ქვეყნისას
მომბერენ და მომაგონებენ.

3

როდესაც კოცნით სულშეგუბული
კვლავ გახსნის ბაგეს —
მე უღვინოდ მთვრალი ვარ
შისით.

4

ბოლოს და ბოლოს,
როდის, როდის გაგვიშლი საწოლს?
შენ გეუბნები, მსახურო ჩემო:



საბურველი ვისონისა მოართვი თხელი,
შემოეტმასნოს, რათა ტანზე მოადგეს კარგად
არამც და არამც არ გაბედო სამეფო ტილო!
შენ ნელსაცხებლით
გაქდენთილი ნაზი ქსოვილით
დაამშვენე საწოლი მისი.

5

ღმერთს გავეჩინე
უბირ მხეველად, ფერხთამბანელად!
დაგბანდი ფეხებს
უბრალო მონა,
დავტკბებოდი კანის შენის
ხილვით და ჭვრეტით.

6

მოხარული ვიქნებოდი
გავმხდარიყავ მრეცხავი
ერთადერთი თვით:
მერეცხა და მერეცხა
შენი ბალზამიანი,
შენი მუშკამბრიანი,
შენი სურნელოვანი
მათრობელა კაბები.

ბეჭედი მაინც ვყოფილიყავ,
მაგ შენს თითზე წამოსაცმელი!
არ დამკარგავდი, მომივლიდი
როგორც ნივთს რასმე,
როგორც სამკაულს,
ყოფას ჩვენსას რომ ალამაზებს.





[ფ რ ა ბ მ ე ნ ტ ე ბ ი]

1

ვემუდარები ჩემს ქალბატონს:
„ნუ გახდები ჩემი ღუშმანი!“ —
ვემუდარები მთელი დღე ასე:
„ნუ, ქალბატონო,
ნუ მტანჯავ და ნუ მალოდინებ.

ველარ ვაკავებ ულაყს ჩემსას,
მის ძარღვებში ქარიშხალია.
ეს კი იცოდე, შემწევს ძალი
ნებისად ვმართო,
თუმც ეტლში პირქვე ვარ დამხობილი“

2

ბაჯალლო ოქროს კუნძულისკენ გაშალა აფრა,
მიცურავს ჩემი ქალბატონი თრობის მხარეში.
ნუ, ნუ გასწირავ, ქალბატონო,
უთხარ შენს მეჭის:
— მთელ დღეს იქ დავყოფთ,
მეჭი, მთელ დღეს იქ გავატარებთ.

3

დღევ მშვენიერო,
ჭოი, დღეო უტკბილეს თრობის,
მე შენ მის გვერდით გაგატარებ,
ვიქნებით ერთად, —
დაჰქროლე, დაე ნუ დაცხრები,
დაჰქროლე, ქარო!

მე გულს მივმართავ, საკუთარ გულს:
„რაო, ასე რად უყვართ იგი?
მე თავი მოგეც
სიყვარულით ჩემით შენდამი“.
სმა ჩამეხლიჩა ამ სიტყვებით:
„მიცოცხლე, ღმერთო,
სატკივარი აშორე მეჭის!“





[ქ ა რ ი]

ამოტყდა ქარი — ლელვსულელს დაჰბერა,
გამოჩნდა ქალი — ეს შენ ხარ და
იჩქარი ჩემსკენ.





[სატრფიალო სიმღერა]

სიყვარული შენი — ფრთოსნის სიყვარულია.
შენი სახის იერი — იერია ყრმის.
სურნელება შენი — ბალზამისას ჰგავს.
სახის კანი შენი — ვაშლის თოთო კანს.
სასიცოცხლო ძალით ჰგავხარ ხნულში მარცვალს.
მზეა ამომავალი — შენი ნორჩი სახე:
სიხარულით სავსეა — შენი მკვირცხლი თვალები.
ხელეზს ცისკენ იწვდი, ტურფად გახსნი ბაგეს,
მზეს შესძახებ დიდებას, შენ, ღვთიურო ყრმაო!
არის რაღაც საერთო, შენს იერში იგრძნობა,
ნიშანწყალი იცნობა ჰერმოპოლის მბრძანებლის.
ამონნებტმა აღვწერე ესე — შეილმან იპუის.





[ქურუმი კატორისა]

ტკბილსაამო და ტკბილსასურველი
ენამოუბრობს მუტირდისი, ქურუმი ქალი.
ტკბილსაამო და ტკბილსასურველი
არისო იგი, მენხეპერრა ხელმწიფე ბრძანებს.
ტკბილსაამო და ტკბილსასურველი
დიაციანო მუტირდისი, იტყვიან კაცნი.
მეუფეაო სიყვარულის,
დიაცები ამბობენ ასე.

მეფის ასული ტკბილსაამო, ტკბილსასურველი,
ულამაზესი, უტურფესი დიაცთა შორის.
ყმაწვილი ქალი,
მსგავსი რომლის თვალს არ უნახავს,
თმანი მისნი —
უშავესნი უკუნი ღამის.

ტუჩნი მისნი —
უტკბილესნი ფინიკის, ყურძნის.
კბილნი მისნი —
ტოლნი, სწორნი, ჩარიგებულნი
როგორც მარცვლები,
ანუ ჭდენი კაჟის დანისა.

დგას მუტირდისი, სხეულს მისას
ძუძუ-მკერდი განბზუკით ადგას.





[მარადიული სიყვარული]

1

ერთად ვიქნებით და განშორებას,
ჩვენს განშორებას ვერ შეძლებს ღმერთი.
არ მოგწყინდები? არც მოგცილდები,
ერთად ვიქნებით მარად და მარად.

აწ თავისუფლებს ქვეყნურ შრომისგან
არ შეგვემთხვევა ცუდი და ავი.
მარადისობის ვეწვიეთ მხარეს —
რომ არ მიეცეს დავიწყებას ჩვენი სახელი.

დიდებულია ჟამი, როცა
საუკუნო მზე აღმოხდება
და როცა იგი ფრთაგაშლილი
დაჰლუის აკლდამებს.

2

ვაიმე, აქ ხარ,
ერთთავად აქ ხარ,
აქ იმყოფები საუკუნოდ.
დღეები გადის.
ყოველდღე გხედავ,
გიმზერ და გიმზერ,
არ ძალმიძს შენთან განშორება,
და ვერ გცილდები.

გამინათლება უეცრად გული,
როდესაც შენი სიჭაბუკე გამახსენდება.
და შვილებს ჩვენსას ისევ და ისევ
მოვუთხრობ დედის და მამის ამბავს.






[მოსიყვარულე მეუღლის ქება]

მიმზიდველი და საყვარელი ქმრისთვის მეუღლე,
გულმიმტაცი და ტკბილსაამო თვისი ტრფიალით,
მომხიბლავ ბაგით და საამურ სიტყვა-პასუხით.
ყოველი სიტყვა ამოსული მისი პირიდან
ჭეშმარიტების ჰგავს დაბადებას.
დიაცი ტურფა, სწორუპოვარი,
სახელგანთქმული და ნაქები თავის ქალაქში,
განურჩევლად დამხმარე და მოსარჩლე ყოვლის.
მხოლოდ და მხოლოდ კარგს ლაპარაკობს.
ჰყვება, რისაც უყვართ მოსმენა,
სჩადის, რაიც ხალხს ეამება,
ჯერ ბოროტება არ შობილა იმისი ენით.
ვის არ უყვარს — რ ე ნ პ ე ტ ნ ე ფ რ ე ტ ი.





[ფტაკოტეპის შეგონებებიდან]

1

მაინც და მაინც
სწავლულობით თავი ნუ მოგაქვს!
ნუ, ყოვლისმცოდნე, ნუ გგონია,
რომ შენ ხარ ერთი!
არა მარტო ბრძენს —
რჩევა ჰკითხე უწვერულ ყრმასაც!

ხელოვნებამ არ იცის ზღვარი.
ძალუძს კი მხატვარს,
დაეუფლოს ოსტატობის
უმაღლეს მწვერვალს?

თვალმარგალიტს და გონიერულ სიტყვას
ცხრაკლიტული ადევს ორთავეს.

თუმც სიტყვა იგი
მონა ქალსაც მოეპოვება --
უბრალო მონას,
ხორბალს რომ ცეხავას.

2

თუ ოჯახთან მეგობრობას
აფასებ და ძვირად გიღირს,
მაშინ სახლში, სადაც დახვალ
სტუმრად, ანუ სადაც ძმა ხარ --
მოუფრთხილდი ქალებს!

სასიკეთოს დედაკაცთან
სიახლოვე არას გვაძლევს.
ვინ ჩასწვდება ქალის აზრებს.
ათასებმა იზარალეს
მხოლოდ ქალის გამო.

ქალის ტანი -- ქაშანურის
გრილი სურა -- ქალის ტანი
გვაბრმავებს და სულში გეყინავს,
რათა მყისვე აბრიალდეს --
შემოგვენთოს ცეცხლად.

ქალის დაპატრონება -- სიზმარია მოკლე.
ქალის ფიქრს და გონებას
ჩასწვდე -- სიკვდილს უდრის.

თუ სიკეთისკენ ხარ მიდრეკილი,
ოჯახს მოეკიდე, სახლი გაიჩინე.
შეიყვარე, როგორც ჯერ არს, დიასახლისი.
ასვი, აჭამე, არ მოაკლო ჩაცმა-დახურვა,
აცხე ბალზამი სხეულს მისას სურნელოვანი
და განახარე გული მისი, სანამ ცოცხალ ხარ.
საუკეთესო ყანა არის, გახსოვდეს, იგი
სახნავ-სათესად
თვისი ბატონ-პატრონისათვის.





სამიჯნურო შელოცვა

სალამი შენდა,
ღმერთების მამავ, რა-პორახუტო,
სალამი თქვენდა, შვიდნო ჰატორნო,
თქვენ, ალისფერი მანდილებით ტურფად შემკულნო,
თქვენ, ღვთაებანო, მბრძანებელნო ცისა და მიწის!
თქვენ შემეწიეთ, თან გამომყვეს მისი ასული,
როგორც ბოჩოლა, დაუყრიან რომელსაც თივა:
როგორც მოახლე,
არ სცილდება რომელიც ბალღებს,
როგორც მწყემსი თან ახლავს ფარას.
ისმინეთ ჩემი:
თუ თქვენ. ამას არ აიძულებთ,
მაშინ ცეცხლს მივცემ მე ბუსირისს
და გადავბუგავ.







[მეჯლისი ბაღში]

ჰა, შენ ლოტოსი, ჰა, ყვავილი
მოწყვეტილი შენსავე ბაღში —
ვერ მიიტაცეს, ბაღი იგი კვლავაც შენია
დაე, მოჰქონდეს
შენს ბაღს შენთვის ყოვლი სიკეთე,
დაე, ნაყოფი შიგ მწიფდეს შენთვის,
რათა შეგეძლოს
დატკბე მისგან ნაბოძევ ძღვენით.
გულს გიცოცხლებენ
შენ ყვავილნი შენი ბაღისა.
განგიგრილებენ
სხეულს ხეთა ჩრდილნი საამოდ.
მარად იქმ იმას, რასაც ისურვებ,
რაიც შენს გულს გაუხარდება.





[ლ რ ე ო ბ ა]

1

გულის სიღრმეში ჭეშმარიტებას,
რაო, დათრობა ხომ არ სწადია?

2

ზმირინი წასცხე კულულებზე ჭეშმარიტებას,
ზმირინი წასცხე —
ნუმც მოშლია სიმრთელე ჯანის,
ნუმც მოშლია ყოვლი სიკეთე.





ფიქრები



გულგატეხილი კაცის დავა
საკუთარ სულთან

სამღურავი პირველი

ჩემი სახელი მძულვარებით გარემოსილა,
ხედავ, ყარს იგი, ვით ფრინვლის სკორე,
ზაფხულის ხვატში, როცა ზეცას ცეცხლი უკიდია.

ჩემი სახელი მძულვარებით გარემოსილა,
ხედავ, ყარს იგი, ვით ზაფხულში თევზის შიგანი,
მებაღურებმა რომ დაჰყარეს მხურვალე ცისქვეშ.

ჩემი სახელი მძულვარებით გარემოსილა,
ხედავ, ყარს იგი, ვით იხვის ბუდე
დამპალ ჭაობის ლერწმოვანებში.



ჩემი სახელი მძულვარებით გარემოსილა,
ხედავ, ყარს იგი, ვით დამპალი ჭაობის ლაფი,
ვით მებადურის ნაცვამი ძონძი.

ჩემი სახელი მძულვარებით გარემოსილა,
ხედავ, ყარს იგი, ვით ნიანგის მურდალი ხახა,
ხედავ, ყარს იგი უხსენებლის ხსენებასავით.

ჩემი სახელი მძულვარებით გარემოსილა,
ხედავ, ყარს იგი, ვით უგვანი ცილისწამება,
რომლითაც ცოლი გააბახეს წინაშე ქმრისა.

ჩემი სახელი მძულვარებით გარემოსილა,
ხედავ, ყარს იგი, ვით უხამსი და ურცხვი ჭორი,
რომლითაც შურით ჩირქი მოსცხეს უმწიკველო ჭაბუკს.

ჩემი სახელი მძულვარებით გარემოსილა,
ხედავ, ყარს იგი, ვით სახელი შეთქმულ ქალაქის,
რომელიც ერს და სახელმწიფოს განუდგა თვისას.

სამღურავი მმორე

ვის, მითხარ, გული ვის გადვუშალო?
ძმებს დაჰკარგვიათ სინდის-ნამუსი,
მეგობრები გაცივებულან.

ვის, მითხარ, გული ვის გადვუშალო?
გამგელებულა ადამიანი,
ყველას სხვისაზე უჭირავს თვალი.

ვის, მითხარ, გული ვის გადვუშალო?
ძალმომრეობა ბატონობს ირგვლივ,
გადაშენდა კეთილი ხალხი.

ვის, მითხარ, გული ვის გადვუშალო?
შეგინებულა სიკეთე ყველგან, —
ბოროტებას უკმევენ გუნდრუკს.

ვის, მითხარ, გული ვის გადვუშალო?
აბუჩად იგდებს მსხვერპლს კადნიერი,
ხოლო ხალხი უცქერის სეირს.

ვის, მითხარ, გული ვის გადვუშალო?
მზად არის ყველა, მოყვასს თვისას
უკანასკნელი წაჰკლიჯოს ლუკმა.

ვის, მითხარ, გული ვის გადვუშალო?
საკუთარი ძმა მტრად მიაჩნიათ,
აფაზაკები აღჭურვეს ნდობით.

ვის, მითხარ, გული ვის გადვუშალო?
ძველი ამაგი არავის ახსოვს, —
ნუ, კეთილის წილ ნუ ელი კეთილს.

ვის, მითხარ, გული ვის გადვუშალო?
გაქვავებულან მეგობრები,
თანაგრძნობა ეძიე სხვაგან.

ვის, მითხარ, გული ვის გადვუშალო?
თვალებს მალავენ ღვიძლი ძმანი,
მეგობრები პირს გარიღებენ.

ვის, მითხარ, გული ვის გადვუშალო?
ვის, ვის დავენდო — კაცთა გულში
ანგარება დაბუდებულია.

ვის, მითხარ, გული ვის გადვუშალო?
არღა არიან
დღეს მართლისა სამართლის მქნელნი —
ეს ქვეყანა მგლებს დარჩენია.

ვის, მითხარ, გული ვის გადვუშალო?
არღა არიან მეგობარნი, შეხვდები უცხოს —
პირველ შემხვედრთან გულს მოიოხებ.

ვის, მითხარ, გული ვის გადვუშალო?
არღა არიან სვებედნიერნი,
არღა არიან მეგობარნი, რომელნიც იყვნენ.

ვის, მითხარ, გული ვის გადვუშალო?
უბედურების მხარს მაწევს ტვირთი
და გულითადი მეგობარი არა და არ ჩანს.

ვის, მითხარ, გული ვის გადვუშალო?
დაუტბორია ბოროტებას ეს დედამიწა —
ბოროტების ზღვას
კაცის თვალი ვერ გასწვდენია.

აწ სიკვდილი მე ამგვარად მიჩანს:
ავადმყოფის განკურნებად, შვებად
და წამების ტყვეობიდან დახსნად.

აწ სიკვდილი მე ამგვარად მიჩანს:
სურნელოვან ზმირინად,
და ტკაცუნა აფრის ჩრდილში ჯდომად.

აწ სიკვდილი მე ამგვარად მიჩანს:
მყუდროებად, ფშვენად ნაზი ლოტოსის,
მათრობელა ცისფერ სანაპიროდ.

აწ სიკვდილი მე ამგვარად მიჩანს:
გათელილ და უკვე განვლილ გზად —
ლაშქრობიდან
დაბრუნებად შინ.

აწ სიკვდილი მე ამგვარად მიჩანს:
ზეცის გახსნად, ფარულ ჭეშმარიტების
გაგებად და
წვდომად.

აწ სიკვდილი მე ამგვარად მიჩანს:
მშობელ სახლად — საპყრობილის ნაცვლად,
ათასწლოვან
პატიმრობის შემდეგ

ჭემმარიტად, ამ ქვეყნიდან
ვინც გადავა იმ ქვეყანას,
უკვდავ ღმერთად გადიქცევა,
ბოროტს სძლევს და მისაგებულს
მიაგებს.

ჭემმარიტად, ამ ქვეყნიდან
ვინც გადავა იმ ქვეყანას,
მზიურ ნავით ცაში გასწევს,
მადლს იქიდან მოგვაშუქებს
ტადართათვის სასურველს.

ჭემმარიტად, ამ ქვეყნიდან
ვინც გადავა იმ ქვეყანას,
ბრძენთა დასში აღმოჩნდება
და მასლაათს გაუმართავს
რას —
ღვთაებას მზისას.





სიმღერა წარწერილი
არსაზე მომღერლის ფერხთით
სასახლეში აწ განსვენებულის
მეფის ანტიპისა

აღესრულა რა ბედნიერად, განისვენა რა,
ჰყვავის ქველი და ზნეკეთილი ხელმწიფე ესე.
მიდიან ერთნი თაობანი, რჩებიან სხვანი --
განაგრძობენ ამქვეყნად ყოფნას --
ასეა,

ასე ყოფილა ოდით.

ღმერთნი, რომელნიც ოდესმე იყვნენ,
პირამიდებში განსვენებულან.

კაცნიც, ქველნი და სახელგანთქმულნი,
დაკრძალულან თავ-თავიანთს პირამიდებში.

ისინი ქვიტკირს აშენებდნენ,
სახლებს აგებდნენ,

ადგილიც კი არ დარჩენილა,
სადაც მათი სახლები იდგნენ --
დახე მაგათ, რა დაჰმართნიათ!

მე იმხოთეფის,
 ჯედეფჰორის ბრძნული სიტყვები
 გამიგონია — იმეორებს იმ სიტყვებს ყველა.
 მერედა, კარგი,
 რა დღე ადგას იმათს აკლდამებს?
 დაქცეულან ის აკლდამები,
 ვითომ ქვეყნად არცა ყოფილან,
 ადგილიც კი არ დარჩენილა,
 სადაც როსმე ისინი იდგნენ.
 კაციშვილი არ დაბრუნებულა
 დღემდე იქიდან, იმ ქვეყნიდან,
 ეამბნა ჩვენთვის
 თუ რა არის იქ, ანუ რა ხდება;
 მოეთხრო ჩვენთვის,
 თუ რას იქმენ, ან რა სწადიათ,
 და მოუგვარათ ჩვენთვის სიმშვიდე,
 სანამ ჩვენც თვითონ
 იქ არ მივალთ, იქ არ მივალწვეთ,
 სადაც ისინი დავანებულან.
 და ამიტომაც: განირთე და ახარე გული,
 დე გადივიწყოს
 გულმა ზრუნვა სამზადისისა
 სულის შენის განსანათლებლად.
 გულს, გულს მიჰყევი, გულისწადილს,
 სანამ ცოცხალ ხარ.
 იცხე ზმირინი, ტანთ ჩაიცვი საუკეთესო,
 იპკურე საღვთო,
 საუცხოო ნელსაცხებლები.

ამრავლე ქვეყნად შენი სიმდიდრე,
აძლიერე და ალაღე გული.
გულს, გულს მიჰყევ და
ჰქმენ ამქვეყნად საქმენი შენი
გულისკარნახით —
დატირების დაგიდგება ვიდრემდის ჟამი.
ჯერ არ სმენია მიცვალებულს
ჭირისუფლის მოთქმა და კვნესა,
სამარისაგან მოთქმა-ტირილს
არვინ უხსნია.
და ამიტომაც, იხეიმე დღე მშვენიერი.
ხედავ,
ქონება ჯერ თან არვის არ წაუღია.
ხედავ,
წასული — ჯერ არავინ დაბრუნებულა.





[ქება სიკვდილისა]

სულნო კეთილნო,
ღმერთნო ცხრანო ჰელიოპოლის!
ქებათაქება გესმათ ესე „ღვთაების მამის“.
სულით უმწიკვლო და ღირსებით განდიდებული
იყო იგი და მარადისობის
ქალაქში უკვდავ ღმერთთა თანა
იქმნა შერაცხულ.

თავს დასტრიალებთ
თქვენის ფიქრით, ზრუნვით და ურვით
ამ აკლდამაში შემოსულთა ბედსა და იღბალს.
მე კი მსმენია სიმღერები — უძველეს დროდან,
ძვალთშესალაგთა კედლებიდან გადმომყივარნი,
სააქაო ყოფნის მქებულნი —
საზიანოდ საუკუნო ჩვენი სავანის.

აცამტვერებენ ნეტავ რისთვის ის სიმღერები
სახელ-დიდებას საიქიო ნეტარ ქვეყნისას,
სად სადგურია განსვენების, სად სიმართლეა,
სადაც სძაგთ შუღლი
და თვისტომის არა აქვთ შიში,
რამეთუ იქ
არ უწყიან, რა არის მტრობა?

განისვენებენ
სამყაროს შექმნის დღიდან იქ წინაპრები.
ურიცხვთა შორის, ვინც ამქვეყნად ნაშენობს ახლა,
ჩვენს ეგვიპტეში ერთი კაციც ვერ დამკვიდრდება:
მარადისობის ქალაქში აქვს გამზადებული
საყუდელი უკლებლივ ყველას.

არ გაგრძელდება წუთისოფლის სტუმრობა დიდხანს!
დრო სიზმარივით იელვებს ჩქარა,
დახდების მზე და
მზის დახდომის, დაისის ველად
„კეთილი იყოს თქვენი ფეხი და მობრძანება!“ —
ეტყვიან ყარბს.





[სწავლულთა ქება]

ბრძენი სწავლულნი,
მწიგნობარნი გარდასულ დროთა,
მემკვიდრენი თვითონ ღმერთების!
წინასწარჭვრეტდნენ ისინი მყობადს,
მათი სახელი —
საუკუნოდ ჩვენთან დარჩება.
დააგვირგვინეს დრო თვისი და
ისე წავიდნენ —
ყველა მათი ნათესავი დავიწყებულა.

არ აუგიათ მათ სპილენძის პირამიდები
და არც ბრინჯაო არ აშშვენებს
აკლდამებს მათსას.



არ დარჩენიათ მემკვიდრენი
მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად,
მაგრამ სიმდიდრედ
დაგვიტოვეს ქადაგებანი,
თხზულებანი
დაწერილნი საკუთარ ხელით.

სადვთო წერილნი —
ქურუმებად გადექცნენ დამწერთ,
ხოლო ფიქალნი, საწერელნი —
გადექცნენ ძმებად.
ქადაგებათა, მოძღვრებათა დიდი წიგნები
იყო მათი პირამიდები.
თანამეცხედრე იყო მათთვის —
ტახტი ტინისა,
ლერწმის კალმები — ჩვილები მათი.
დიდი და მცირე —
შვილებია მათი უკლებლივ,
ეგ იმიტომ, რომ მწიგნობარი —
მოძღვარი და მამაა ჩვენთვის.

აგებულ იქნენ შენობანი,
მაგრამ დაიქცნენ,
იყვნენ ქურუმნი,
მაგრამ გააქრნენ ტაძრებთან ერთად.
მათი ძეგლები
დაფარულან მტვრითა და მიწით.
სკლდამღები დავიწყებულან.

მაგრამ ხმამალა წარმოთქვამენ
სახელებს მათასას,
რაკილა დაგვრჩნენ თხზულებანი
დაწერილნი იმათის ხელით,
და ხსოვნა მისი უკვდავია:
ვინც წერდა წიგნებს.

გახდი სწავლული! აღიბეჭდე ეს გულში, რათა
შენი სახელიც ასეთივე სახელად დარჩეს.
წიგნი მჯობნია ბრინჯაოს ძეგლის
და ქვიტკირის მტკიცე გალავნის.
წიგნი ტაძრებს და პირამიდებს
აღძრავს მის გულში,
ვინც სასოებით იმეორებს დამწერის სახელს,
რათა სუფევდეს ბაგეებზე ჭეშმარიტება.
კაცი კვდება და მტვრად იქცევა სხეული მისი,
ჰქრებიან მისნი ნათესაენი და მახლობელნი,
მაგრამ რჩებიან
თხზულებანი ბრძენთა სწავლულთა
და მოგონებას იმ კაცისას გვაიძულებენ.
გვჭირდება წიგნი
სახლზე მეტად, რომელსაც ვაგებთ,
გვერჩიოს წიგნი
დასავლეთით მაღალ აკლდამებს,
გვერჩიოს წიგნი
სასახლეებს აღმოსავლეთით
და ძეგლთა ყოველთ
დიდებულთა ტაძართა შინა.

არის კი ქვეყნად
ახლა ვინმე, ჯედუფჰორს ჰგავდეს?
არის კი ვინმე,
იმხოთეფის მსგავსი და ტოლი?
არლა არიან დღეს, ჩვენს დროში,
ისეთები, როგორიც ნეფრი
და ჰეტი იყვნენ —
ო, პირველნი პირველთა შორის.
მე თვითონ გეტყვი,
მე გეტყვი და მე შეგახსენებ
ფტაჰემჰჰუთის და
ხახეპერა-სენების სახელს.
არის კი ვინმე
ფტაჰოტეპის, კარესუს ღირსი?
წინასწარჭვრეტდნენ ისინი მყობადს, —
აგვიხდა,
რასაც მეტყველებდნენ მათი ბაგენი.
ეს ყველაფერი
მათს წიგნებში წერია ზუსტად.
ეს ყველაფერი
ხალხში დადის დიდებულ სიტყვად.
სხვათა და სხვათა კაცთა შვილნი
მემკვიდრენი გამხდარან მათნი,
თითქოსდა მართლა
საკუთარი შვილები იყვნენ.
მისნობა თვისი დაუმალეს ადამიანებს,
მაგრამ მოძღვრებას
ჰკითხულობენ ისინი მათსას.

წარვიდნენ, გაჰქრა მათთან ერთად
მათი სახელი,
აწ მოგონებას
თხზულებანი გვაიძულებენ.





[ა ლ ა კ ი]

1

ამენსათს,
აწ განსვენებულ
პაპერის ასულს, რომელიც
ღვინის დაღევას უარობს,
წინ წარსდგომია მსახური,
თასს აწვდის ღვინით სავსეს,
თან ეუბნება ასე:

..შესვი, გაამოს, დაითჳერ და
სული იცხონე.
არც მე დავტოვებ დღეს მშვენიერს
აღუნიშვნელად!
ყური მათხოვე შენს დაიას,
ეს გქონდეს წესად:
ნუ იტყვი უარს —
მოწვდილს უმალ მოჰკიდე ხელი“.

დიაცი,
რომელს ნუმბეპი
ჰქვია და აწ განსვენებულ
პაჭერის ნათესავია,
მსახურს მიმართავს ასე:

„თვრამეტი თასი ამივსე და
აქ მომიტანე.
ხედავ, მწყურია.
დავლიო და დავითვრე შინდა.
ყელი მიშრება,
გულ-მუცელიც
თივასავით მშრალია ჩემი“.

ძიძას,
სახელად სენსენბეთს,
ეპასუხება მსახური:

„შესვი, გაამოს, ნუ იტყვი უარს,
მეც აქ ვარ და არ ჩამოგრჩები“.

შეორე ძიძა დასძენს:

„შესვი და აღაპს ნუ წაგვიხდენ,
შესვი დროზე და, აქ გადმომეც —
მბრძანებელმა
დასალევად გვიბოძა იგი“.

სვი და ღვინოს ნუ მოიკლებ.
 სვი, ადიდე ღღე მზიური.
 ბედნიერად, სვეძლიერად
 ჩაატარებ წუთისოფელს,
 ბოლოს წახვალ, მარადიულს
 მიადგები დიად ქალაქს,
 აქ დასტოვებ ხსოვნას, სახელს,
 იქ თვისტომი დაგიხვდება,
 ყარიბს შემოგეგებება
 და ჩაგიკრავს
 გულში.





[მემფისის მონატრება]


ხედავ, გამექცა, გამეპარა, გამისხლტა გული,
შეჭკრა კამარა, მიაშურა საყვარელ სამხრეთს,
რათა იხილოს დიდებული მემფის-ქალაქი.
ჰოი, მოეცა ჩემთვის ძალი და მოთმინება
ღმერთს: დავმჯდარიყავ და მეცადა
მემფისიდან ჩემი გულის დაბრუნებისთვის,
ეამბნა გულს, თუ რა ხდება
თეთრ კედელთან, ანუ რა ისმის!

რა უმწეო ვარ,
მივარდება ხელიდან ყველაფერი,
რადგან გული საგულეს არ მაქვს.

ო, მოდი, პტაო,
წარმიტაცე თან მემფის-ქალაქს
და დიდხანს, დიდხანს
მისი ჭვრეტის მომეც მე ნება.
ო, ჩემი გული დღედაღამე ოცნებაშია,
სადღაა მკურდში გული ჩემი —
შორს არის იგი.

ვარ შეპყრობილი ავი სენით: მტეხენ სახსრები,
დამეხშო სმენა, თვალთ მიბნელდება,
დამიმახინჯდა სიტყვები და ხმა ჩამეხლიჩა.
შენ შემეწიე, ჰოი, პტაო,
მივაღწიო როგორმე მემფისს.





[ს ა რ თ ვ ლ ო]

ო. მბრძანებელო, მოავლე თვალი
შენს ვენახებს და იხარე გულით!
ვაზებს ჰკიდია მსხვილი მტევნები,
შეხე, ყურძენს ფეხით სწურავენ.

შენს გასახარად წვენიტ სავსეა
წლეულს მარცვლები ათასჯერ მეტად.
მაშ, სვი, ნუნუას ნუ ეტყვი უარს,
მიეც თავი შევბას და ღებნას.

მოსაღამოვდა, ბინდდება უკვე.
მწიფე მტევნებზე ციგლიგებს ცვარი.

ყურძენს წურავენ, ჩქარობენ კაცნი,
ფიცხი ამბოხით ავსებენ ჯამებს,
მბრძანებელთან ჭაშნიკად მიაქვთ.

სვი, მბრძანებელო, ადიღე ღმერთი,
ყოვლი სიკეთე ღვთით არის ჩვენთვის.
ბაღ-ვენახების მეოხს და მფარველს
შენ აღუვლინე ზეცაში ლოცვა,
შენ, შენ შესწირე ყურძნის ნაჟური,
შენ შეახვეწე ჩვენი ზვრები და
საგაისოდაც სიუხვე ღვინის.





[წარწერა ყავარჯენზე]

წინ გასწი, ჩემო ყავარჯენო, გასწი, გამიძებ,
მე შენ გეყრდნობი, სიმართლის გზა ამირჩევია
გზად ჩემთა ძნელთა სუირნობათა;

აქვე,

ამ გზაზე დავბერებულვარ.





ჰომეროსი და მოტიქმდნი



ნილოსის ქება

1

დიდება, ჰაპი, დიდება შენდა!
შენ ამ მიწაზე მოხვედი, ჰაპი,
შენ მოგვევლინე, რომ განაცოცხლო,
განაცხოველო ეგვიპტე ჩვენი.
ვით დღის წიაღში არა ჩანს ღამე,
ასევე არ ჩანს დინება მისი,
როცა მსახურნი მსახურებენ და
აღავლენენ მისდამი ქებას.
რწყავს იგი მინდვრებს, მზისაგან შექმნილს,
რათა შთაბეროს სიცოცხლე ყოველს;
რწყავს იგი ხმელეთს,
რწყავს უდაბნოებს,
ეს მისი ცვარი მოცვივა ციდან;
მას უყვარს მიწა, ნეფრას ის მართავს,
ის ადაყვავებს ხელობებს პტასას.

იგია თევზთა მბრძანებელი, იგი ჰკარნახობს
 დაიძრან და მიაშურონ ჭორომებს მისას.
 როცა ის არ ჩანს, არ ჩანს ფრინველიც,
 არ დასტრიალებს ბრინჯის მთესველს
 და მომკელს თავზე.
 როცა ისვენებს მისი თითები
 და როცა მისი ნესტოები დაგმანულია,
 ლატაკდება და გლახაკდება ადამიანი.
 როცა ასეა, პარტახდება აგრეთვე ზეცა —
 ზეცა ღმერთების სამყოფელი —
 და დასტა-დასტად
 იხოცებიან ქვეყნად ხალხები.

როცა ყველაზე საშინელი ეს საქმე ხდება,
 თავს ატყდება დედამიწას უბედურება, —
 იღუპება დიდი და მცირე.
 მაგრამ გროვდება,
 ჯგროდ ხროვდება,
 ყიჟინებს ხალხი,
 თუ ტბორდება და ახლოვდება თქრიალით ჰაპი
 როდესაც ჰნუმი წარმოქმნის მას და
 როდესაც იგი გამოჩნდება, ზეიმობს მიწა.
 განიხარებს არსი ყოველი.
 ყოველი მალა ხერხემლისა
 ხარხარებს ლხენით.
 განიხარებს სიცილი კბილებს.

მარჩენალია დოჭლათიანი,
 შემოქმედია შშვენიერების.
 მეუფე ძალთა, სურნელებათა,
 იგია, ვისაც შეჰხარის ყველა,
 ზინც შობს ბალახს ჯოგებისათვის,
 ვინც მფარველია თვითონ ღმერთის
 და გულით ახსოვს უფლისათვის
 შესაწირავი,

სადაც არ უნდა იყოს თვითონ:
 ქვესკნელში, ცაში, დედამიწაზე.
 ამერ და იმერ ხელთ უპყრია
 ორთავ მიწა, ორთავ ეგვიპტე.
 ის ავსებს ბელლებს მარცვლეულით
 და ღარიბ-ღატაკთ ის ანიჭებს
 სარჩოს და დოვლათს.

ეს მისგან არის ყვავილობის ნიჭი ხეთათვის,
 ხეთა ურიცხვთა იგი არის ქვეყნად შშობელი
 ყველასთვის, ვისაც მათი ხილვა
 სურს და უხარის.
 გემთშშენებელი ის არის ჩვენთვის,
 მეცადინობა მას ქვისმთლელთა არა სჭირდება,
 თეთრი გვირგვინით
 ქანდაკებებს ის თვითონ ამკობს.

უხილავია, არ სჭირდება
მსახურნი და ბაჟის ამკრეფნი,
საიდუმლონი მისი არსის — გონუწვდენია,
არავინ უწყის ქვეყნად მისი სადაურობა
და თხზულებათა ამოკითხვით
მისთა მღვიმეთა არვის ძალუძს
ქვეყნად მიგნება.

6

არ არსებობენ ქვეყნად ბედლები
დამტევნი შენგან ნაბოძვე ძღვენის,
მბრძანებელი შენს გულს არა ჰყავს.
შემოგხარიან
ყმაწვილნი და ჭაბუკნი შენნი,
გადიდებენ ხელმწიფესავით.
ურყევია და ურღვევია კანონი შენი.
ზემოს თუ ქვემოს
მიაკითხავ ორთავ ეგვიპტეს.
ეხარბებიან შენს წყალს
თვალნი ყოველი კაცის.
მშვენიერება ამრავლო ქვეყნად —
მთელი გულით ესწრაფვი ამას

7

როცა ქადაგნი გვაუწყებენ შენს გამოჩენას,
ყოველი კაცი ილხენს და გულში

სიხარული აღარ ეტევა.
მაკედ გახლავან ნიანგები,
მშობიარობა ეწყება ნეითს.
ტურფაა შენი ცხრავე ღმერთი ჰელიოპოლის.
განაძლიერებს ხალხს მოსაგალი,
ჯანზე მოიყვანს: ერთს — დაატკობს,
სხვას — განაძლებს და დააპურებს,
და აღარ რჩება მათ საქიშპო
ურთიერთ შორის.
შენ სხვისთვის იღვწი, ძღვენს უმზადებ,
არვინ არის შენი სადარი —
არისო მზღვარი, იგი სხვააო, —
ჰაპი, შენზე ამბობენ კაცნი.

8

გამომავალი წყვდიადიდან, ნათლის მომფენი,
ის — სიმსუქნე თვისი ჯოგების,
ის — ძლიერება,
შემოქმედი ამქვეყნად ყოვლის.
არავინ არის ქვეყანაზე, მას არ იცნობდეს.
ადამიანებს ასაჩუქრებს, რათა ისინი
ასრულებდნენ განზრახვებს მისას.
მხვნელ-მთესველისკენ
მისი გული მიპყრობილია,
ეაღერსება ყანებს თვისას სადამო ხანად.
მეგობარია იგი პტასი,
მასთან ერთად იღვწის და შრომობს,

შემოქმედია საღვთო წერილთა,
ამიერ, ქვემო ეგვიპტეში
შემოქმედი ის არის ყოვლის.

9

ხარ სასურველი, მოდიხარ და
მიწის გულში ჩუხჩუხით აღწევ,
ეთხოვები შენს საიდუმლოს.
როცა შენ წყრები, თევზი ქრება,
ელიან კაცნი წყალს ვეებას,
მაშინ მდიდარი გლახაკისგან არ განირჩევა,
მაშინ ხელსაწყო-იარაღებით
ყანებისაკენ მიმავალი
შესამჩნევია კაცი ყოველი.
შინ არ დარჩება მეგობარი მეგობრისათვის.
რაც გააჩნია უკეთესი, ტანთ იცვამს ხალხი.
იკაზმებიან ყმაწვილები —
დიდგვაროვან ოჯახთა შვილნი.
შინ ვინ დარჩება, ვისაც წუხელ
წყლის ჩაესმა მოახლოება.
და, წყალდიდობა იწყებაო,
ზმირინს იცხებს სიხარულით კაცი ყოველი.

10

გვიმტკიცებს იგი ჭეშმარიტებას,
დახარბებიან სიტყვა-თქმაში
რომელსაც კაცნი:

„განემზადეო და მზად იყავ—მიგიღებს ზეცა“.
მაშინ, მიიღებს თვითონ ნილოსს
მწვანე ზღვა დიდი.
წარჩინებულნი მიჰყვებიან
დატაკთ კვალდაკვალ.
ცოცხალთ ამქვეყნად ნეფრა მართავს
და ღმერთებიც მას აღიღებენ.
არ ჩანს ფრინველი მომფრინავი
უდაბნოს მხრიდან.
შენს ხელებს ახსოვს ოქრო, როცა
ყალიბებში ვერცხლი ასხია.
ვინ ჭამს ლილა-ქვას,
მარცვლეული მწიფეა როცა.

11

ტაშს გიკრავენ და წკრიალებენ შენთვის არფები.
შემოგხარიან ჭაბუკები, შვილნი შენნი,
მოსავალი როცა შემოდის,
ღირსეულად შეგასხამენ ხოტბა-დიდებას.
როდესაც მოგაქვს ათასგვარი ფასეულობა,
იკაზმება და ირთვება მიწა.
ხომალდებს შენსას
სარგებელი მოაქვს კაცთათვის.
ფეხმძიმეთათვის
ხარ სიცოცხლის მომნიჭებელი,
მოსიყვარულე
ხარ ურიცხვის ჯოგების შენის.

როცა შედიხარ შენ ქალაქად,
 დღესასწაულობს, ილხენს ძვირფას
 ნივთთა მფლობელი,
 ღატაკი ამბობს:
 „აჰ, ნეტავი ლოტოსი მომცა!“
 ერთიანია ყოველივე დედამიწაზე.
 მცენარეული ყველაფერი
 შვილთა შენტა კუთვნილებაა.
 როდესაც კაცნი გივიწყებენ მარჩენალს თვისას,
 მაშინ დოვლათი ფეხს აღიკვეთს მათი კერიდან
 და დედამიწას თავს ატყდება უბედურება.

ო, ჰაჰი! როცა ადიდდები,
 მოაქვთ შენტვის შესაწირავი,
 დასაკლავად მოჰყავთ ხარები,
 ასუქებენ საშენოდ ფრინველს,
 შენტვის იჭერენ უდაბნოში
 სამსხვერპლოდ ლომებს
 და მშვენიერს გიძღვნიან ნივთებს.
 და, ჰაჰი, როგორც
 შენტვის მოაქვთ შესაწირავი,
 ასევე მოაქვთ იგი ყველა ჩვენი ღმერთისთვის:
 სწირავენ ციურ ნელსაცხებლებს,
 ცეცხლს, ნახირს, ფრინველს.

ჰაპიმ გაბურღა თებეს ქვაბები,
მაგრამ ქვესკნელში არვინ იცის
სახელი მისი.

14

შესთხოვენ კაცნი
ღმერთებს, რადგან შიში აქვთ მისი,
ვინც მეუფეა ყოველივე მიწიერისა,
ვედრებიან აყვავებას ორთავ ნაპირის.
მაშ, აყვავდი, აყვავდი, ჰაპი.
ო, იყვავილე, ველთა შენთა მწვანილოვანთა
ნაყოფით კაცთა და პირუტყვთა
მაცოცხლებლო.
მაშ, აყვავდი, აყვავდი, ჰაპი.
ო, იყვავილე, იყვავილე,
მშვენიერო შენის ნაყოფით.

გასრულდა შრომა, გავასრულე ესე კეთილად
ორთავ სასახლის გადამწერმა,
სახელად კაგაბუმ.





ქ ი მ ნ ი მ ზ ი ს ა ლ მ ი

დიდებულია ჰორიზონტზე ამოსვლა შენი,
შენ, სახებაო ატონისა, ცხოველმყოფელო!
აბრიალდები ცისკიდურზე აღმოსავლეთით,
გადაანათებ დედამიწას შენი მშვენებით,
გადააბრწყინებ ურიცხვ ქვეყნებს,
დიდმშვენიერი მაღლა-მაღლა ბრიალებ ცაში.
ჩაჰკიდებ სხივებს
შენგან შექმნილ
მიწათა საზღვრებს
და სამფლობელოდ
ქეს გადასცემ საყვარელს შენსას.
შენ შორს ხარ,
მაგრამ ჩვენთან არის შენი სხივები.
სახეზე ადგას შენი შუქი ადამიანებს, —
მოახლოება შენი მათთვის უჩინარია.

როცა ცისკიდურს დასავლეთისას
დასტოვებ და თვალს მიჰფარდები,
დაეუფლოთ თითქოს სიკვდილი,
შეისუდრება დედამიწა უკუნი ლამით.
თვალნი ვერ ხედვენ სხვათა თვალებს.
ჩამძვრალან კაცნი სარეცლებში და
მიუციათ ძილისთვის თავი.
სასთუმალქვეშე ქონება რომ ურიცხვი ედოთ
და რომ მოჰპაროთ,
ვერც შეამჩნევენ!
დაწანწალებენ დამშეული ლომები და
დაცოცავენ შხამიანი გველები ბნელში.
ბნელით მოცულა
სინათლის წილ
მუნჯი ქვეყანა,
რამეთუ შორს ხარ შემოქმედი,
განისვენებ პორიზონტს იქით.
გადიფურჩქნება დედამიწა მხოლოდდა მაშინ.
ცად ხელახლა რა აღმოხდები.
ატონის მსგავსად ცისკიდურზე აბრიალდები,
ერეკები სხივებით წყვდიადს.
ზემო და ქვემო, ამერ-იმერ, ორი ეგვიპტე
გალვიძებას ზეიმობს თვისას.
შენ დააყენე, მზეო, ფეხზე ორთავ ქვეყანა.
განიბანეს რა, განიგრილეს სხეული კაცთა,
ტანთ ჩაიცვეს და,
ხელაპყრობით ლოცვად დამდგარნი,
ადიდებენ შენს შობრძანებას.



ზემო და ქვემო,
აჰა, ორი ეგვიპტე შრომობს.
უხარისთ ჯოგებს საძოვრები.
ამწვანებულან ტყე-მინდვრები.
ბუდეს სტოვებენ ფრინველები
და ფრთების ტაშით ადიდებენ
შენს მობრძანებას.
ხტიან ოთხფეხნი,
ანცობენ და დანავარდობენ.
ჰქრიან ფრთოსნები,
ახალისებთ ამოსვლა შენი.
ჩრდილოეთისკენ გეზს იღებენ მეზღვაურნი და
სამხრეთითაც ეშურებიან.
საითაც უნდათ, იქით გასწევენ,
როცა შენით კაშკაშებს ზეცა.
წყლით ამოხტიან
და წინაშე შენი სახის ანცობენ თევზნი.
ზღვათა სიღრმენი
განგმირულან შენი სხივებით.
შენ ერთს, შენ უნდა გიმადლოდეს
სიცოცხლეს თვისას
ჩასახული ქალში ნაყოფი.
სისხლით აღუვსებ პაწია ძარღვებს,
დედის საშოში განაცოცხლებ, განაცხოველებ.
შენ, შენ განაძლებ
მწოლიარეს დედის მუცელში.
სულს შენ შთაბერავ და არას სთხოვ
ქმნილებებს შენსას.

საშოს მშობლისას როცა სტოვებს,
რათა იცხოვროს,
ბაგეს შენ უხსნი ახალშობილს,
მისი რჩენის და საზრდოობის
შენ ხარ მზრუნველი.
თვით ბახალასაც
კვერცხში სული შენით უდგია.
თუ მოათავე მოშუშება შენ მისი ღროზე,
მომძლავრებული,
კვერცხის ნაჭუჭს თვითონ გამოტყენს
და, რა გადადგამს ციცქნა ფეხებს,
არ დააყოვნებს,
გაჩენა თვისი უმალ ამცნოს ქვეყნიერებას.
ხარ შემოქმედი ათასგვარი ურიცხვი არსის.
დაფარულია კაცის თვალთაგან
შენით შექმნილთა არსთა მრავალსახიერება.
ხარ ერთადერთი შემოქმედი სწორუპოვარი,
სხვა შენებრი არ არის ღმერთი!
მიწა შენ შეჰქმენ,
შენს ნებაზე,
როგორიც გსურდა.
შენ გააჩინე ერთარსებამ განუყოფელმა
კაცი ყოველი,
მხეცი ყოველი,
შინაური ყველა ცხოველი —
უკლებლივ, რაიც ხმელეთზე დადის,
უკლებლივ, რაიც დაფრინავს ცაში.
პალესტინაში, სირიაში და ეგვიპტეში,

ოქროს მხარეშიც,
ნუბიაში, შენგნით წინასწარ
განკუთვნილი აქვს ყოველ მოკვდავს
სამკვიდრო თვისი.
აკმაყოფილებ კაცთა ყოველ საჭიროებას.
ყოველ კაცს — სარჩო თვისი წილი,
დათვლილი აქვს სიცოცხლის დღენი.
სხვადასხვა არის
ენა-კილო სხვადასხვა ხალხის,
სხვადასხვა არის აღნაგობა, ზნე-ხასიათი,
კანის ფერითაც არ ჰგვანან ერთურთს,
რამეთუ ხალხი ხალხისაგან
და ქვეყანა ქვეყნისაგან გყავს გარჩიული.
ქვესკნელს ნილოსი შენ შთასახე,
შენივე ნებით
გამოიყვანე დღის ნათელზე ცხრაკლიტულიდან
და ხალხს უბოძე მისი ძალა ცხოველმყოფელი,
რაკილა კაცთა შემოქმედიც ასევე შენ ხარ.
შენ, შენ ხარ მათი მბრძანებელი,
მათთან ერთად იღვწი და შრომობ.
ქვეყნისმპყრობელი შენ ხარ ბრწყინვალე,
გადაანათებ, გადასწვდები შორეულ მიწებს.
ხარ დღის მნათობი, ხარ ატონი ყოვლადძლიერი,
სიცოცხლის წყარო ურიცხვ ხალხთათვის.
დიდი ნილოსი ცათა შინა შენ დაიტიე.
გაშლილა იგი მსგავსად ზღვისა ბუმბერაზისა,
ქედების თავზე გადადიან მისი ზვირთები
და ჩვენს სოფლებთან საძოვრებს რწყავენ.

მარადისობა ხელგეწიფების,
სიბრძნით სავსეა
შენი შრომა და შენი ღვაწლი.
ციურ ნილოსის სინოტივით შენ აჯილდოებ
კაცსა და პირუტყვს
შორ ქვეყნებში —
უკლებლივ ყველგან.
ხოლო სათავეს ჭემმარიტი ნილოსის წყალი
ქვესკნელში იღებს, უფლისაგან შეყვარებულის
ქვეყნის, ეგვიპტის საკეთილდღეოდ.
შენი სხივები
ზრდის შვილივით ყოველგვარ ნათესს.
შენ ამოხვალ და,
შენს საქებრად, შენს სადიდებლად
შენკენ მოიწევს
მალლა-მალლა ყლორტი თუ ლერწი.
შენ დააწესე წელიწადის სხვადასხვა დროთა
მონაცვლეობა, მათი რიგი და მათი ჯერი.
შენგან შექმნილთა
არსთა შენთა საკეთილდღეოდ
მოგყავს ზამთარი —
განაგრელო ისინი რათა,
მოგყავს ზაფხული —
რათა უკეთ შეგიცნონ ღმერთი.
შენ, შენ შექმენი ცისკამარა,
რათა დაბრძანდე,
გაბრწყინდე შიგ და შენთა საქმეთ
მალლიდან ჭვრეტდე.

ხარ ერთიანი, ერთარსება განუყოფელი!
ატონის სახით აღმოხდები და გაბრწყინდები,
შორეული და მახლობელიც ამასთან ერთად.
მირიადობით მოვლენას იტევ
განუყოფელ ერთარსებაში.
სოფლად,
ქალაქად,
მინდვრად,
ყანაში,
სახმელეთო თუ სახომალდო, წყალსავალ გზებზე
ყოველი თვალი შენ შემოგცქერის,
ატონო მთისავე, შალღით მიწის მანათობელო,
მაგრამ შეგიცნო
ერთადერთმა მთელს ქვეყანაზე,
მხოლოდ ის ჩაგწვდა — ეხნატონი —
შენი პირმშო უსაყვარლესი.
მხოლოდ მას ანდობ შენს ღვთიურ ზრახვას.
მას უმჯლავნებ შენს ძლიერებას.
შენის მარჯვენით ასერიგად არის შექმნილი
ეს დედამიწა: შენ აღმოხდები —
ყველაფერი ცოცხლდება ირგვლივ,
შენ დახდები და — კვდება ყოველი.
შენ ხარ სიცოცხლის
საზომი და პირველმიზეზი.
მშვენიერებით ტკბება თვალი,
სანამ შენ არ ჩაესვენები.
დასავლეთისკენ თვალს მიჰფარდები
და შაბაშ, ყველა სამუშაო უმაღვე წყდება.

რა აღმოხდები ცაში ახლად,
მეფეთათვის ყველაფერი გაფურჩქვნილია.
ასე ყოფილა სამყაროს გაჩენის დღიდან,
როცა შეპქმენ და აღამალლე ეს დედამიწა
ძისათვის შენის საყვარელის,
ხორცის შენის ხორცთაგანისა.
მეფუა იგი ჭემშარიტი
დიდმპყრობელი ორთავე მიწის,
ზემო და ქვემო ეგვიპტისა, ამერ და იმერ.
სახელი მისი — ეხნატონი,
მბრძანებელი შუქთამთოვარე!
გაგრძელდეს დღენი უსასრულოდ
სიცოცხლის მისის
და მასთან ერთად ნეფერტიტის —
უსაყვარლეს თანამეცხედრის —
დედოფლისა ორთავე მიწის.
ვარდმოუვლინე, მზეო, მადლი
ტურფა ნეფერტიტს,
ნეტარყავ იგი აწ და მარად,
უკუნითი უკუნისამდე!





[ქ ა ლ ღ მ ე რ თ ს]

ო, შენ, რომელიც მოაბიჯებ ასე დიადად. —
მალაქიტს, ზურმუხტს.
ფირუზს სთესავ ვარსკვლავებივით,
როცა შენ ჰყვავი. მეც ვყვავი მაშინ,
ვყვავი ცოცხალ მცენარესავით.





[დილის მზისადგი]

ოქროს ქალღმერთი მზის ხომალდით გამოდის ცაზე —
რას უყვარს იგი.

ვეება არის და ძალუმი ხომალდი დღისა —
რას უყვარს იგი.

დიდება მისი ხმელთაშუა ზღვას გასწვდენია —
რას უყვარს იგი.

გამოჩნდა რაი სახილველად მისი მშვენიების —
რას უყვარს იგი.





[ლ ა მ ე ს]

ზეცის მუცელში — მწიფდა ღამე
ზეცის მუცლიდან — იშვა ღამე.
ღამე ვისია და — თავისი დედის.
ჩემი რა არის და — სიმშვიდეა ამქვეყნიური.

ო, ღამევ, მშვიდობა მიწყალობე —
და მეც მშვიდობას გიწყალობებ!
ო, ღამევ, მიწყალობე მოსვენება —
და მეც მოსვენებას გიწყალობებ!

საღამოს კვერთხი გასტეხია,
ადგა და ჩუმად გაილალა,
წაიქცა კოკა საღამოის
და მქისე წყალი დაიდვარა.

ღამე ვისია და — თავისი დედის —
ოქროს ქალღმერთის.

ჩემი რა არის და — სიმშვიდეა დედაბუნების.






[დედოფალი ხათმეფსუთი ნელსაცხებელს წყავს
თვისი მამის, ამონისათვის]

ზეთს სურნელთვანს წყავს და წონის
დედოფალი საკუთარ ხელით.
ფასშეუვალი სხეულს მისას ზმირინი სცხია
სდის სურნელი ღვთიურ მანანის.
სურნელი იგი
სურნელს პუნტის ქვეყნისას ერთვის.
ოქროფერილი მისი კანი
ელავს და ბრწყინავს,
როგორც ბრწყინავენ ვარსკვლავები
ვუმბათიდან მაღალის ტაძრის
და სახელმწიფოს ოთხივ კუთხივ
ანათებენ მის საზღვრებამდე.





[ქალღმერთ კატორს]

I

ო, გვეედრებით,
შეგვიწყალე ოქროს ქალღმერთო!
შენი სტიქია — როკვაა და საგალობლები
და ზარ-ზეიმის ბრწყინვა ჟამსა მოცალებობის.
ლამის წყვილიადის საფარველქვეშ
შენ როკვა გწყურის.

იქცევა ღვინო სვეტებიან პალატსა შინა —
ო, გადმოგვხედე, მოწყალების მოგვაპყარ თვალი.
წესის და რიგის აღსრულებით შენ ხარ ურყევი,
ხოლო საწესო წიგნის აზრი და არსი ჩვენთვის
მოფრთხილებაა ყველა შენი გულისწადილის.


დიდგვაროვანი გეფუერება შესაწირავით,
ძღვენს მოგართმევენ უფლისწულნი, ქება-დიდებას
აღაველენს შენსას ქურუმთ შორის უზუნაესი,
და უქმე დღეზე ფსალმუნს შენთვის
კითხულობს ბრძენი.

სათხოვარს ჩვენსას ფლეიტები შემოგძახიან,
დიდებას შენსას გრუხუნებენ ტიმპანონები,
ყვავილწულნიან დედაკაცთა ზეიმობს დასი,
შუბლი გვირგვინით შეუმკიათ
ტურფა გოგონებს.

ღრეობს კაცი და მთელი ღამე გადიდება მთვრალი,
რა თვალს გაახელს ნამთვრალევეზე, გადიდება ისევ.
ხამის სამოსით შემოსილი ბედუნები
და კაცნი შავნი, კვერთხოსანი ნუბიელნი
შენთვის როკავენ.

შებლოტებულან წვეროსანი ლიბიელები,
ხეზე გასულან ღვთაებრივის პატივსაცემად.
შენს საამებლად ხუნტრუცებენ ველად პირუტყვნი,
ტოტიდან ტოტზე მკვირცხლად ხტიან მაიმუნები.

წინაშე შენის ღვთიურ სახის ანცობენ თევზნი,
ეშვებიან და ფრთებს ჰკეცავენ სვავნი მორჩილად,
ხოლო აღებენ ბეჰემოტნი ღრიალით ხახას
დაბაკუნობენ
და როკავენ აცეტებულნი.



I

ფარაონი საცეკვაოდ მოდის,
შენს საქებრად, სადიდებლად მოდის.
ო, მეუფევე, შეხე, როგორ როკავს,
ო, მეუღლევე ჰორის,
შეხე, ხტის.

ფარაონი ძეა თვითონ მზის,
განბანილი არის მისი ხელები,
სპეტაკია, შეხე, მისი თითები.
ო, მეუფევე, შეხე,
როგორ როკავს,
ო, მეუღლევე ჰორის
შეხე, ხტის.

როცა მოაქვს შენტვის სავსე თასი,
როცა გწირავს ღვინით სავსე თასს,
ო, მეუფევე, შეხე,
როგორ როკავს,
ო, მეუღლევე ჰორის,
შეხე, ხტის.

გული მისი — სუფთაა და ღია,
სული მისი — ჭეშმარიტად წმიდა!
სინათლეა — ფარაონის სულში.
ო, მეუფევე, შეხე,
როგორ როკავს,
ო, მეუღლევე ჰორის,
შეხე — ხტის.

ჰოი, ქალღმერთო, წარმტაცია სიმღერა მისი
ვით სიმღერები
თვითონ ჰორის, მეუღლის შენის.
მღერის მზის შვილი, თვით ქურუმი უზენაესი,
ღვთაებრივი მომღერალი — პირმშო ჰორისა.

2

ო, დიდებულო, ო, კაშკაშავ,
ო, განთქმულო სასწაულებით,
მეუფევი მისო, მბრძანებულო
და ბრწყინვალევი ღვთაებათ შორის.

შეხე, თაყვანს გცემს ფარაონი,
მაშ, სიცოცხლე მას უწყალობე.
შეხე, გადიდებს, ბრწყინვალეო,
მაშ, სიცოცხლე მას უწყალობე.

იქიდან, სადაც ღმერთნი სუფევენ,
ჰოი, ჰატორო,
გადმოხედე ფარაონს ჩვენსას,
ცისკიდურიდან მოაპყარ თვალი.
შენ მისი ლოცვა, ცეცხლოვანო,
ყურად იღე, როცა იქნე ოკეანეში,
და, სადაც იყო, ცაში იყო თუ მიწაზე,
მოწყალების მოაპყარ თვალი.

ნუბიის ციდან, მბრძანებელო,
ლიბიის ციდან,
აღმოსავლიდან, ცეცხლოვანო,
თუ დასავლიდან,
ყოველის მხრიდან გადმოხედე,
ყოველის მხრიდან,
დიდებულად სადაც ანათებ.

შენ თვითონ ხედავ,
თუ რა ხდება მის არსებაში,
მაშინაც კი, სდუმან როცა მისი ბაგენი.
სუფთაა — გული ფარაონის,
წმიდაა — სული ფარაონის,
და ჭეშმარიტად მზეა — სულში ფარაონისა.
ოქროს ქალღმერთო, თაყვანს გცემს იგი,
შენც სიცოცხლე მას უწყალობე.

3

ო, რა ტკბილია, რა საამო, როდესაც ჰყვავის
ოქროს ქალღმერთი, როცა ბრწყინავს და
იფურჩქნება.

ცა და ქვეყანა
შენს წინაშე ზეიმობს მაშინ,
ვარსკვლავები შენ დაგხარიან,
მზე და მთვარე ხოტბას გასხამენ,
ღმერთნი ყოველნი და ქალღმერთნიც
შენ გადიდებენ.

ო, რა ტკბილია, რა საამო,
როდესაც ჰყვავის
ოქროს ქალღმერთი,
როცა ბრწყინავს და იფურჩქნება.
მთელი ქვეყანა
შენს წინაშე ზეიმობს მაშინ,
შენთვის როკავენ მაშინ მხეცნიც
სიხარულით ატაცებულნი,
ცად აღავლენენ შენს დიდებას
ეგვიპტე და ქვეყნები სხვანი
და სწვდება ზეცას დიდება შენი —
ზეცას, რომელიც ოთხ სვეტზეა
დამაგრებული.





[ქება შვილ კატორს]

მწყობრი გუგუნი შენტვის გააქვს დაფლაფებს ჩვენსას,
ჩვენ შენტვის ვროკავთ, შენტვის, შენო უმაღლესობავ,
ჩვენი, შენდამი ზეცას სწვდება
ხოტბა-დიდება.

აკი მეუფე კვერთხიანთა შენ ხარ მეფეთა,
შენ ხარ მეუფე კვერთხის, ფარლულის,
შენ ხარ მეუფე მუსიკისა,
რომელიცა წკრიალებს შენტვის.

ყოველდღე ვაქებთ და ვადიდებთ შენს მეუფებას,
რა შელამდება, განთიადი ვიდრე ინათებს,
წინაშე შენის ღვთიურ სახის ვხარობთ, ვზეიმობთ,
შენ, მბრძანებლო დენდერასი, შენი ქალაქის,
შენთვის, შენდამი, ისმის ჩვენი საგალობლები.

აკი მეუფე შენა ხარ ლხენის,
აკი განაგებ ქნართა წკრიალს,
ცეკვა-სიმღერას,
აკი შენ ბრძანებ ყვავილთაგან
გვირგვინთა დაწვნას,
მეუფეო სურნელებათა.

შენ გაქებთ, შენო უმაღლესობავ,
შენ, შენ გასხამთ ხოტბა-დიდებას,
ღმერთთა და ქალღმერთთ ყოველთ უმაღლეს
დიდება შენი მალლა ცაში აგვიტანია.

აკი მეუფე შენ ხარ ჰიმნების,
განმგებელი წიგნების შენ ხარ,
ცოდნათა დიდი ხარ მპყრობელი,
დიასახლისი სწავლულთა სახლის.

ყოველდღე ვაქებთ და შევხარით შენს მეუფებას,
შენ ყურს მოაპყრობ აღტაცებით სიმღერას ჩვენსას,
ჩვენ გვიხარია შენი ჭვრეტა ყოველ ცისმარე,
ყოველ ცისმარე
შენის ხილვით ზეიმობს გული.

ყვაილწუნულების შენ ხარ მეუფე,
განმგებელი ხარ ფერხულების,
ხარ მბრძანებელი თავდავიწყების,
უკიდგანო, უსაზღვრო თრობის.
წინაშე შენის ღვთიური სახის
შენთვის ვროკავთ, შენთვის ვზეიმობთ,
და გულს გიხარებს შენ ყველაფერი,
რასაც კაცნი შთავდივართ შენთვის.





[შახვედრის მოლოდინი]

მეუღლე, ჩემო, რომელიცა შორსა ხარ ახლა,
შორს, ჯებაუთში იმყოფები, —
მომიხვალ დღეს.

სხეული შენი ჩემთვის სურნელს აკმევს პუნტისას.
შენ დიდებული ბანოვანნი გიძღვნიან ქებას
და შემოგხარის მთელი ენეადა.

ო, დაუბრუნდი მეუღლეს შენსას.

კრთის და ფრთხილებს მისი გული შენდამი ტრფობით.

ჩაგიკრავს გულში,

შენც არასდროს მას არ დასტოვებ,

რადგან ხარობს მისი გული შენი მშვენებით





[მოთქმა ოსირისისა ისილას მიერ]

ვარ — დედაკაცი,
ტურფა თვისი მეუღლისათვის,
ვარ ცოლი შენი, სატრფო შენი,
გამოეშურე, ო, ჩემკენ ჩქარა,
რადგან მწყურის მე შენი ხილვა.
რაც შენი სახე აღარ მინახავს,
ღამეა ირგვლივ,
თუმცა რაი გვინათებს ციდან.

მიწა და ზეცა შერევია ერთიმეორეს.
დედამიწას ეფინება მწყუხრის ზეწარი
გულს მიკიდია ცეცხლი,
რადგან შენ გამემიჯნე
და ჩვენ შორის ჩადგა კედელი —
თუმც არ ყოფილა ბოროტი ჩემში.



ძლეულა ჩვენი ორი ქალაქი,
აწეწილან და ნგრეულან გზები,
და გეძებ, გეძებ, რადგან მწყურის
მე შენი ხილვა.

ზღუდემორღვეულ ქალაქში ვდგავარ.
შენსას ჩემდამი სიყვარულს ვწუხვარ.
ო, მოდი ჩემთან, ნუ დარჩები
ასე შორს ჩემგან!

შეხე ჰორს,
შენს ვაჟს,
პირმშოს შენსას,
სეთს ერეკება მისი დასჯის ადგილისაკენ.
მე შევაფარე ლერწმოვანებს შენი ჩვილი,
შენი პირმშო, რათა შემდგომ გვეძია შური.
ასე ძნელია
ჩემთვის შენი შორს ყოფნა, ხოლო
შენი სისხლისთვის და ხორცისთვის —
აუტანელი.





[მოთქმა სატროსი]

ძნელია წასვლა სამუდამო სიჩუმის მხარეს,
ღვიძილი ჩვენი აწ და მარად ძილით იცვლება.
ვისაც ღამითაც არ ეძინა, ყოფილა ხშირად,
ახლა დილიდან საღამომდე წევს გარინდული.

ქურუმთ უწყიან,
თუ რა ვრცელი და რა ბნელია
საუკუნო განსვენების მაღალი სახლი.
უკარფანჯროა სახლი იგი, უსინათლო,
მოწყენილი და უმზეოა.


იქ არ მოგვბერენ ჩრდილოეთის ქარნი სიგრილეს,
მზე არ ამოდის სამუდამო სიჩუმის მხარეს.
დღე დღეს მისდევს და,
განისვენებ წყვდიად ღამეში.



[წუთისოფლის სამღურავი]

მათრობელა
სასმურების ტრფიალს
იმ ქვეყანას
წყალიც ველარ მიაქვს.
ამა სოფლად
ურიცხვ ბელლის პატრონს
ფეტვი უჭირს,
ერთიმუჭას ნატრობს.





[მიცვალებულის დატირება]

1

გლოცავ, გადიდებ,
მბრძანებელო მაღალ ღმერთების,
უბედურება უცოდველ ყრმას რომ დამატეხე.
შენ ბრძანე და, აჰა, აღსრულდა!
ამ ხეობაში განვისვენებ მცირეწლოვანი
მტანჯავს წყურვილი, ხოლო წყალი —
დოქში დგას აგერ.
ჩვილსა და თოთოს იდუმალი
ხელი დამწვდა და დამეუფლა,
მცირეწლოვანი ვიყავ — ჩემი არ იყო ჯერი.
დავტოვე სახლი —
არ გავმძღარვარ მშობლის ალერსით

სამძიმო არის პაწაწინა გოგონასათვის
შავი წკვარამი!
თავს დამემხო მაღალი ღამე.
დედის ძუძუს კი
მოწყვეტილი არ ვიყავ ჯერაც.
არ მაკარებენ
საიქიოს გუშაგები ძეს ადამისას,
თუმც მარტოობა ასაკითაც ძნელია ჩემთვის
ადამიანის დანახვისას
სიხარულით მევსება გული:
აკი მიყვარდა გართობა და თვალისეირი.
ჰოი, ღმერთების მბრძანებელო
და უფალო მარადისობის,
წინაშე რომლის ნავსაყუდელს ეძიებს ყველა,
მომეც მე პური,
მომეც წყალი,
მომეც მე ფისი —
სურნელოვანი ფისი შენი საკურთხეველიდან,
რამეთუ —
ყრმა ვარ მე უცოდველი.

2

მეუღლევ ჩემო, ძმავე ძვირფასო და მეგობარო,
უზენაესო მანდ, მემფისში, ქურუმთა შორის,
იცხოვრე, იყავ,
სვი და ჭამე, ნუმც მოგყირჭდება,
მიეც თავი ტრფობას და ბახუსს.

მოილხინე და დღე მიუძღვენ დროისტარებას,
გულს, გულს მიჰყევ და
გულის წადილს მიუგდე ყური.
გულს საზრუნავით თუ იმძიმებ.
რას გპირდებიან,
კაცმა რომ თქვას, არყოფნის წლები?

დახდების მზე და
მზის დახდომის,
დაისის მხარეს
მარადი ძილი და მარადი უკუნი სუფევს.
ქვის აკლდამებში განსვენებულთა
მხარე იგი არის სავანე.
მდგმურნი მისნი ვერასოდეს განიღვიძებენ,
ვერ შეხვდებიან ვერასოდეს
მეგობრებს თვისას,
ვერ ჩაიკრავენ ვერასოდეს
დედ-მამას გულში,
უარუყვიათ ცრუ სოფელი, განდგომიან
ცოლ-შვილს და თვისტომს.

სხვათა ბაგენი
მაცოცხლებელს შესვამენ წყალს;
მე — წყურვილით უნდა ვეწამო.
წყალი არწყულებს მიწაზე მცხოვრებთ.
განუყრელია წყურვილი ჩემგან.
არ ვიცი წყარო მას შემდეგ, რაც მე
მარადისობის ხეობაში აქ დავევანე.

მომეც მე წყალი გამდინარე და ბრძანე ასე:
სად მწყურვალება და სად ტურფა მეუფე ჩემი!
მხარესა ჩრდილოს პირი მიქენ,
დამქროლოს რათა
ნიაჴმა გრილმა,
და დამიცხროს
მტკივანი გული.

შეშვენის სიკვდილს სახელად— „მოხვედ!“
ვისაც ის იხმობს
გაჩნდება მასთან
და სიკვდილის მოიცავს შიში.
არცა ხორციელთ, არცა ღმერთებს
მისი სახის არ ძალუძთ ხილვა.
დიდი და მცირე,
ო, ყოველი გასწორდეს მისგან.
არ ასცილდება მისი ბრჭყალი ქვეყნად არავის.
მეტის ხალისით
ჩვილს წარსტაცებს საბრალო დედას,
ხოლო დასტოვებს,
დააყოვნებს მწიფე ბერიკაცს,
განმზადებულს, —
მიაშუროს მარადისობას.
გულს ვერ მოუღობს ვედრება ლაჩრის;
მწედ სასომიხდილს არ მიაშურებს;
ვერა, ვერ გასტეხს მოუსყიდველს
ქრთამი და ძღვენი.

ჰოი, მომსვლელნო
განსვენების უდაბურ მხარეს!
სურნელოვანი ზმირინი და წყალი ცხოველი
სულთაობა დღეს
თან მომიტანეთ.



შპს ოზონი



ს ა რ ფ ი ა ლ ო ნ ი

გვ. 9. (ძალა სიუვარულისა) — პარისის პაპირუსი 500. თარიღდება XIX ფინასტიის ფარაონ სეთი I მეფობის დასაწყისით (დაახლოებით ძვ. წ. 1330 წ.) დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში (№ 10060).

გვ. 11. მ ე მ ფ ი ს ი — ეგვიპტის ძველი დედაქალაქი, მდებარეობს კაიროს სამხრეთით. ძვ. წ. XVI საუკუნიდან უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ცენტრი, აგრეთვე, საკულტო ცენტრი ღმერთისა პტა.

პ ტ ა — ღმერთების მეუფე, რომელსაც თაყვანს სცემდნენ, როგორც ყოვლის შემოქმედს. თავიანთ მფარველად თვლიდნენ მას მკედლები და მოქანდაკენი. პტა, მეუღლე მისი სოხმეთ და ძე მისი ნეფერტუმ — ეგრეთ წოდებულ მემფისის სამებას შეადგენდნენ. პტას გამოსახულება იყო თმბადაპარსული და სუდარით თავწაკრული მამაკაცი.

სო ხ მ ე თ — პტას მეუღლე, მეომარი ქალღმერთი, დამლუპველ ძალთა განსახიერება. სოხმეთს განკურნებისათვის ლოცვით მიმართავდნენ სნეულნი.

ი ა რ ი ტ — ქალღმერთი — გველი, ფარაონის ძალაუფლების მკველი.

ნ ე ფ ე რ ტ უ მ — ძე პტასი, ღმერთი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ მემფისის ერთ-ერთ ტაძარში. მისი გამოსახულება იყო მამაკაცი, რომელსაც თავზე ლოტოსის ყვავილი ეკეთა (ლოტოსი დაბადებას და გაფურჩქვნა-აყვავებას განსახიერებს)

გვ. 13. უ ფ ლ ი ს ა რ ხ ი — არხი ჰელიოპოლისის მახლობლად.

მ ე რ ტ ი უ ს ა რ ხ ი — რხი ქალაქ ჰელიოპოლისის რაიონში. ლექსში ლაპარაკია დღესასწაულზე, რომელიც ნილოსის ადიდებისას იმართებოდა.

გვ. 15. შვენიერი და სასიხარულო სიმღერების დასაწყისი — მღერის დაია, როცა იგი მინდვრიდან ბრუნდება — პარისის პაპირუსი 500.

გვ. 16. პუნტი — მხარე მეწამული ზღვის სანაპიროზე, შესაძლებელია იქ, სადაც ამჟამად სომალია. აქედან მარაგდებოდა ეგვიპტე კეთილსურნელოვანი ნივთიერებებით.

გვ. 19. ამონი — თავდაპირველად ნაყოფიერების ღმერთი. თაყვანს სცემდნენ თებეში. ქალაქ თებეს აღზევების შემდეგ (ძვ. წ. მეორე ათწლეული) ამონი ქვეყნის უზენაეს ღვთაებად იქნა გამოცხადებული.

გვ. 23. სასიხარულო სიმღერების დასაწყისი — პარისის პაპირუსი 500.

გვ. 26. (მისი ბაღის ხეები) — ტურინის მუზეუმის პაპირუსი. შესაძლებელია, ძვ. წ. XII ს. დასაწყისის განეკუთვნებოდეს.

გვ. 33. პირველსიტყვა სიხარულის მომნიჭებლისა — ჩესტერ ბიტის პაპირუსი 1 — დაახლოებით ძვ. წ. 1160 წ. ნაპოვნია ქალაქ თებეში, დაუკლავია ბრატანეთის მუზეუმში.

ახალწლის ვარსკვლავი — სირიუსი, რომლის გამოჩენა ნილოსის აღიდება და, მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დაწყებას ემთხვეოდა.

ოქროსი — ქალღმერთების კატორისა და სოხმეთის ეზითეტი. კატორის თაყვანს სცემდნენ როგორც ცისა და შორი ქვეყნების ქალღმერთს.

გვ. 39. ცათამბრძანებელი — აქ: ქალღმერთი კატორი.

გვ. 43. (სამი სურვილი) — ჩესტერ ბიტის პაპირუსი 1.

გვ. 47. დასაწყისი წარწერებში ამოკითხული ტკბილსასურველი გამოთქმებისა, რომლებიც ნახტ-სობექს ეკუთვნის — ნეკროპოლის სწავლულს — ჩესტერ ბიტის პაპირუსი 1.

გვ. 52. (მდინარის პირას) — კაიროს მუზეუმის ოსტრაკონი № 25218, ძვ. წ. XIII-XII სს.

გვ. 57. (ფრაგმენტები) — დეირ-ალ-მადინას ოსტრაკონები №№ 1078, 1079, ძვ. წ. XIII-XII სს.

გვ. 59. (ქარი) — გაკრული ხელით მინაწერი ანასტასი II პაპირუსის უკანა მხარეზე (ძვ. წ. XIII ს. შუა ხანა). დაუკლავია ბრატანეთის მუზეუმში (№ 10243). უკანასკნელი სიტყვები დამატებულია აზრის მიხედვით.

გვ. 60. (სატრფიალო სიმღერა) — სახელმწიფო ერმიტაჟის ოსტრაკონი № 1125, XIII-XII სს. ძვ. წ.

ქერმოპოლისი (თანამედროვე აშშუხეხი) — ქალაქი შუა ეგვიპტეში, დაახლოებით 300 კილომეტრზე კაიროს სამხრეთით. ეს იყო ცენტრი სიბრძნის, დამწერლობისა და ანგარიშის ღმერთის თოტის თაყვანისცემისა ძვ. წ. მესამე ათასწლეულის მიწურულს ქერმოპოლისი მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლს თამაშობდა ეგვიპტეში — თებეს პირველობას ეცილებოდა.

გვ. 61. (ქურუმი ჰატორისა) — წარწერა ქალღმერთ მუთისადმი შეწირულ სტელაზე, რომელიც ლუვრშია დაცული (C 100). ძვ. წ. დაახლოებით 700 წ. ალბათ, საფუძვლად უფრო ძველი ნაწარმოები უდევს, რადგან მენჰეპერა — სამეფო სახელია XVIII დინასტიის დიდი დამპყრობელი ფარაონისა, რომელიც ძვ. წ. XV საუკუნეში მეფობდა.

გვ. 63. (მარადიული სიყვარული) — წარწერა ქურუმ თოტეფანხის ქანდაკებაზე, რომელიც კარნაკს ამონის ტაძარში იდგა; ამჟამად კაიროს მუზეუმშია დაცული (№ 42206). „ახალი სამეფოს“ ეპოქა (XV-XI ს. ძვ. წ.).

გვ. 65. (მოსიყვარულე მეუღლის ქება) — წარწერა ქერმოპოლისელი ქურუმის პეტოსირისის აკლდამაზე მალავიში (ძვ. წ. დაახლოებით 300 წ.), სადაც დაკრძალულ იქნა აგრეთვე მისი მეუღლე რენჰეტნეფრეტი.

გვ. 66. (ფტაპოტეპის შეგონებებიდან) — წარწერილია პრისის პაპირუსზე, რომელიც პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული. პაპირუსი თარიღდება „შუა სამეფოს“ ეპოქის დასაწყისით (ძვ. წ. XVI ს.).

ფტაპოტეპი — შესაძლებელია, მთავარი მრჩეველი V დინასტიის ფარაონ ისესისა, რომელიც ძვ. წ. XXV საუკუნეში მეფობდა. უფრო გვიან ფტაპოტეპი ითვლებოდა ერთ-ერთ უდიდეს ბრძენკაცად, რომლის სწავლება-დარიგებანი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რათა ყველაფერში წარმატებას მიაღწიოს, საუკუნეთა მანძილზე ხელიდან ხელში გადადიოდა.

გვ. 69. (სამიჯნურო შელოცვა) — ოსტრაკონი დეირ-ალ-მედინადან № 1057, ძვ. წ. XIII-XII სს.

რაპორახუტი („რაპორ-პორიზონტისა“) — ერთ-ერთი განსახიერება მზის ღმერთ პორისა, რომელსაც თაყვანს სცემდნენ ქალაქ ბუტოში.

შვიდიპატორი — ძველ ეგვიპტელთა რწმენით, სიყვარულის ქალღმერთი პატორი შვიდ წინასწარმეტყველ ქალღმერთად იყო განსახიერებული.

ბ უ ს ი რ ი ს ი (თანამედროვე აბუ სირი) — ქალაქი ნილოსის დელტაში, რომელიც ლეთაება ოსირისის დაბადების ადგილად ითვლებოდა. აქ, ქალღმერთ ისიდას ტაძარში, ოსირისს ყოველწლიურად აღაპს უხდიდნენ.

გვ. 71. (მეჭლასი ბაღში), (ღრეობა) — წარწერები XVIII დინასტიის ფარაონ თუთმოს III (ძვ. წ. XV ს.) მთავარი მრჩეველის — რეხმირის აკლამაში.

ფ ი ჯ რ ე ბ ი

გვ. 75. (გულგატეხილი კაცის დავა საკუთარ სულთან) — ბერლინის მუზეუმში დასული პაპირუსი, რომელიც ძვ. წ. XX ს. მიწურულს ან XIX ს. დასაწყისს განეკუთვნება. თვით ნაწარმოები, როგორც ჩანს, ორასი—სამასი წლით ადრეა შექმნილი. დასაწყისი დაკარგულა და აზრის მიხედვით არის აღდგენილი. გამოტოვებულია ლექსებში პროზაული ჩანართები (იხ. „ფარაონი ხუფუ და მისანის“ რუსული თარგმანი; გოსლიტიზდატი, მოსკოვი, 1958, გვ. 225).

რა — მზის ღმერთი. ძველ ეგვიპტელთა წარმოდგენით იგი ცას ორჩხოველით გადასტურავდა. ძვ. წ. მესამე ათასწლეულის მიწურულიდან ეგვიპტურ რელიგიაში რას კულტი ბატონდება. ამ დროიდან უკვე უზენაეს ღვთაებად მიიჩნევენ. თებეს აღზევების ეპოქიდან ეგვიპტელთა წარმოდგენა მზის ღმერთ რაზე — ამონზე წარმოდგენას ერწყმის (ამონ-რა).

გვ. 82. სიმღერა წარწერილი არფაზე მომღერლის ფერხითთ, სახახლეში აწ განხვეწებულის მეფის ანტიპისა — ჩვენამდე მოაღწია ორ ხელნაწერად: პირველი შემოგვინახა პარისის პაპირუსმა 500, მეორე აღბეჭდილია ფარაონ პაატენემხებას მოქანდაკის აკლდამის კედელზე, ქალაქ საკკარაში, მეფისის მახლობლად (ძვ. წ. XIV ს.) თვით სიმღერა გაცილებით უფრო ადრე, ალბათ, ძვ. წ. XXI საუკუნეში იყო შექმნილი. ზოგი მეცნიერი ამ სიმღერას ძვ. წ. XVI საუკუნეს მიაკუთვნებს.

გვ. 83. ი მ ხ ო თ ე ფ ი — III დინასტიის ფარაონ ჯოსერის მრჩეველი და პირველი პირამიდის მშენებელი (ძვ. წ. XXVIII ს.) მრავალი საუკუნის მანძილზე ამხოთეფი უდიდეს ბრძენად იყო მიჩნეული. უფრო გვიან იგი გაღმერთებულა იქნა, მის სადიდებლად ტაძრებს აგებდნენ.

ქ ე დ ე ფ ჯ ო რ ი (ან პორჯედეფი, როგორც ზოგი ეგვიპტოლოგი კი-

თხოვლობს ამ სახელს) — დიდი პირამიდის მშენებლის, ფარაონ ხუფუს ერთ-ერთი ვაჟი, რომელიც ბრძენად და სწავლულად ითვლებოდა.

გვ. 85. (ქება სიკვდილისა) — წარწერა ქურუმ ნეფერხოთეფის აკლამაში, ქალაქ თებეს (ძვ. წ. XVI ს.).

„ღ ვ თ ა ე ბ ი ს მ ა მ ა“ — უფრო ზუსტად „ღვის მამა“ (პერ-ნეჩერ) ქურუმის წოდება-ხარისხი.

გვ. 87 (სწავლულთა ქება) — ჩესტერ ბიტის პაპარუსი IV (ამჟამად დაკულია ბრიტანეთის მუზეუმში — № 10684). დაიწერა, ალბათ, თებეში, ძვ. წ. დაახლოებით 1300 წ.

გვ. 91. ნ ე ფ რ ი — შესაძლებელია საქმე ეხებოდეს ნეფერტის, ცნობილ ბრძენს, რომელიც გაღმოცემის თანახმად ფარაონ სნოფრუს თანამედროვე იყო (ძვ. წ. XXVII ს.). მისმა ქადაგებებმა ჩვენამდე გაცილებით უფრო გვიანდელი ხელნაწერებით მოაღწია.

ჰ ე ტ ი — ავტორი გავრცელებულ სასკოლო ქადაგებათა, რომლებშიც შექმნილია გადამწერის, სწავლულის პროფესიის ღირსებაანი.

ფ ტ ა ქ ე მ ჯ კ უ თ ი — ალბათ, ჩვენამდე მოუღწეველ მოძღვრება-შეგონებათა ავტორი.

ხ ა ხ ე პ ე რ ა ს ე ნ ე ბ ი — ერთ-ერთი ბრძენი ან მოძღვარი, რომელსაც მოძღვრებებს მიაწერენ.

კ ა რ ე ს უ — შესაძლებელია, რომელიმე ბრძენი ან მოძღვარი, რომლის ქადაგებებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

გვ. 93. (ალაბი) — 1. წარწერა ძვ. წ. XV ს. მცხოვრები დიდებულის — პაპერის აკლამაზე, ქალაქ ალ-ქაბიში (დაახლოებით 100 კილომეტრზე თებეს სამხრეთით). 2. წარწერა ქალაქ თებეს „ახალი სამეფოს“ ნეკროპოლის № 77 აკლამაში.

გვ. 96. (მემფისის მონატრება) — ანასტასი IV პაპირუსი ბრიტანეთის მუზეუმის ექსპონატებიდან (№ 10249) ფარაონ სეთი II მეფობის დროისა (ძვ. წ. XIII ს. მიწურული).

გვ. 98. (სართვლო) — წარწერა ფეტოსირისის აკლამიდან. ყურძნის მკრეფავთა სიმღერა.

გვ. 100. (წარწერა ყავარქენზე) — ნაპოვნია ქალაქ თებეს „ახალი სამეფოს“ ეპოქის ერთ-ერთ აკლამაში.

ჰ ი მ ნ ე ბ ი და მ ო თ ქ მ ა ნ ი

გვ. 103. (ნილოსის ქება) — ყველაზე უფრო სრული ტექსტი ამ მეტად გავრცელებული ჰიმნისა შემოგვინახა სალიე II და ანასტასი VII პაპირულებმა (ძვ. წ. XIV-XIII სს.), რომლებიც ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული. გარდა ამისა, ცნობილია ამ ჰიმნის თხუთმეტზე მეტი ფრაგმენტი შემონახული პაპირუსის ცალკეულ ნაგლეჯებსა და ოსტრაკონებზე. ერთ-ერთი მათგანი, ყველაზე უფრო ადრინდელი, დაცულია ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში (მოსკოვი). თუმცა ჩვენამდე მოღწეული ყველა ხელნაწერი ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებით თარიღდება, თვით ნაწარმოები ბევრად უფრო ადრინდელია, შესაძლებელია. „ძველი სამეფოს“ ეპოქის მიწურულისა (დაახლოებით ძვ. წ. XXIV ს.). დასრულებული ფორმა მან „შუა სამეფოს“ ეპოქაში მიიღო ძვ. წ. XX-XVIII სს.).

ჰ ა პ ი — ეგვიპტური სახელწოდება ნილოსისა, რომელსაც თაყვანს სცემდნენ როგორც ღვთაებას.

ნ ე ფ რ ა — მარცვლეულის ღმერთი.

გვ. 104. ჰ ნ უ მ ი — ღმერთი — შემოქმედი ქვეყნისა და ადამიანთა, რომლებიც მან თიხისაგან გამოძერწა. ჰნუმს ცხვრისთავიან კაცად გამოსახავდნენ. მისი საკულტო ცენტრი იყო ეგვიპტის უკიდურეს სამხრეთში, ნილოსის პირველსავე კორომთან.

გვ. 107. ნ ე ი თ ი — მეომარი ქალღმერთი, საჭურვლისა და საფეიქრო საქმეთა მფარველი. თაყვანს სცემდნენ მას, აგრეთვე, როგორც ღედა ქალღმერთს. მიაჩნდათ, რომ ნეითის სახელი ბოროტ სულებს განაფრთხობდა.

გვ. 112. ჰ ი მ ნ ი მ შ ი ხ ა ღ მ ი — ეს არის ჰიმნი ღვთაება ატონისადმი, შესაძლებელია, თვით „ერეტიკოსი“ მეფის, ეხნატონის (ამენჰოტეფ IV) მიერ შექმნილი. მეფობდა იგი ძვ. წ. XV ს. შემონახულია ჰიმნი ეხნატონის ერთ-ერთი დიდებულის ეიეს აკლდამის კედელზე, ეიესი, რომელიც შემდგომ სჯივითონ გახდა ფარაონი. მისი აკლდამა კლდეშია გამოკვეთილი ახეტატონის (თანამედროვე თელ-ამარნას) მახლობლად, სადაც სამეფო რეზიდენცია ეხნატონის დროსვე იქნა გადატანილი თებედან.

ატონი — მზე (დისკოს სახით). მისდამი თაყვანისცემა, როგორც ერთადერთი ღმერთისადმი, შემოღებულ იქნა ფარაონ ამენჰოტეფ IV (ეხნატონის) მიერ ძვ. წ. XV ს. მიწურულს.

გვ. 120. ეხნატონი — XVIII დინასტიის ფარაონი (ძვ. წ. XV ს. მიწურულს). მან შემოიღო მზის ღმერთ ატონის მონოთეისტური კულტი და გააუქმა სხვა ღმერთების კულტი. სახელი ამენოტეფი მან ეხნატონად („მზისთვის სასურველი“) გადაირქვა. ალბათ, ეს იყო ისტორიაში ცნობილი პირველი ცდა მონოთეისტური რელიგიის შემოღებისა.

ნეფერტიტი — ეხნატონის მეუღლე, მოქანდაკე თუთმოსის მიერ შეკვდავოფილი მთელ მსოფლიოში ცნობილი სკულპტურული პორტრეტებით. ატონის კულტის შემოღებაში ნეფერტიტს, როგორც ჩანს, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული.

გვ. 121. (ქალღმერთს) — სულის მოსახსენიებელ, ეგრეთ წოდებულ „პირამიდათა ტექსტებიდან“, რომლებიც მაგიურ ფორმულებსა და შელოცვებს შეიცავენ. ეს ტექსტები „ძველი სამეფოს“ უკანასკნელი ორი დინასტიის ფარაონთა პირამიდების შიგა ნაგებობათა კედლებზეა აღბეჭდილი (ძვ. წ. XXV-XXIII სს.).

გვ. 122. (დილის მზისადმი) — წარწერა „შუა სამეფოს“ ეპოქისაკენ გარდამავალი ხანის აკლდამაში. თებეს ნეკროპოლი (ძვ. წ. XXI ს.).

გვ. 123. (ღამეს) — მიმართვა ცათა ქალღმერთ ნუთისადმი, როგორც ღამის მეუფისადმი. ეს არის წარწერა ფარაონ სენუსერთ I მთავარი მრჩევლის — ანთეფოკერის აკლდამაში, სადაც იგი არფის დამკვრელის პირით „წარმოითქმის“.

გვ. 125. (დედოფალი ხათშეფსუთი ნელსაცხებელს წყავს თვისი მამის, ამონისათვის) — წარწერა დედოფალ ხათშეფსუთის განსასვენებელ ტაძარში (ძვ. წ. XV ს. დასაწყისი) დეირ-ალ-ბახარიში (თებეს ნეკროპოლი). რელიეფზე გამოსახულია ხათშეფსუთი, რომელიც ნელსაცხებელს წყავს ღმერთის — ამონისათვის.

გვ. 126. (ქალღმერთ ჰატორს) — I. მუსიკოსების სიმღერა მედამუდის აკლდამიდან, ქ. თებეს მახლობლად (ძვ. წ. XV ს.). II. დენდერას ტაძრი. წარწერა. პტოლემეაიოსის ეპოქა (III-I სს. ძვ. წ.).

გვ. 129. ჰორი — მზის ღმერთი, ფარაონის ძალაუფლების მფარველი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ შევარდნის სახით ან შევარდნისთავიანი კაცის სახით გამოხატულს. თავდაპირველად ჰორს ფრთავაშლილ ფრინველად გამოსახავდნენ, თვალუბად მზე და მთვარე ჰქონდა და, როგორც ჩანს,

ცათა ღმერთად იყო მიჩნეული. მითებში იგი ოსირისისა და ისიდას ძეა, რომელმაც შური იძია მამამისის, ოსირისის მკვლელ ბოროტ ღმერთ სეთზე. პორი ქალღმერთ პატორის მეუღლეა.

გვ. 133. (ქება შვილ ქატორს)—წარწერა დენდერას ტაძარში. იხ. ზემოთ

გვ. 134. დ ე ნ დ ე რ ა — ქალაქი კაიროს სამხრეთით, ქალღმერთ პატორის თაყვანისცემის ადგილი. აქ დღემდეა შემონახული პატორის ტაძარი.

გვ. 136. (შეხვედრის მოლოდინი) — ბრემნერ-რინდის პაპირუსი. იხ. ზემოთ.

ქ ე ბ ა უ თ ი — პორის კულტთან დაკავშირებული ადგილი.

ე ნ ე ა დ ა — ჰელიოპოლისის ცხრა ღმერთი: რა-ატუმი, რომელმაც შვა შუ — ღმერთი პაერისა და მეუღლე მისი — თეფნუთი; ამათგან იშვნენ მიწათა ღმერთი ჰები, ცათა ღმერთი ნუთი და შვილნი მათნი: ოსირისი და ისიდა, სეთი და ნეფტიდა.

გვ. 137. (მოთქმა ოსირისისა ისიდას მიერ). — ბრემნერ-რინდის პაპირუსი, ძვ. წ. დაახლოებით 312-311 წწ. დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში (№ 10188). თვით ტექსტი, ეპიგრაფეა, ბევრად უფრო აღრინდელია. ეს სიმღერები, ალბათ, ოსირისისადმი მიძღვნილ თეატრალიზებულ მისტერიებში სრულდებოდა.

ი ს ი დ ა — უხსოვარ წარსულში, ალბათ, ცათა ქალღმერთი იყო. შემდეგ მას ოსირისის მეუღლედ და პორის დედად თვლიდნენ. ზოგიერთი მითის თანახმად, ისიდამ მოკრიბა ბოროტი ღმერთის, სეთის მიერ ორმოც ნაწილად აჩეხილი და მთელს ეგვიპტეში მიმოფანტული თავისი კმრის, ოსირისის გვაში და დაკრძალა იგი. ისიდას თაყვანს სცემდნენ როგორც დედობისა და ნაყოფიერების ქალღმერთს, როგორც ქველმოქმედს.

ო ს ი რ ი ს ი — მითების თანახმად, ოსირისმა მემკვიდრეობად მიიღო მამამისის, მიწათა ღმერთის ჰების სამეფო, რომელსაც ბრძნულად და სამართლიანად განაგებდა. მაგრამ ბოროტმა ძმამ სეთმა შურით მოკლა იგი, ორმოც ნაწილად აჩეხა და მთელს ეგვიპტეში მიმოფანტა. ისიდამ, დამ და მეუღლემ ოსირისისა, მაგიური შელოცვით გააცოცხლა კმარი, რის შემდეგ ოსირისი „საიქიოს მეფედ“ და განსვენებულთა მსაჯულად იქცა. ოსირისი ითვლებოდა მარცვლეულის ღმერთად, წყლისა და სიცოცხლის მომნიჭებლად, მიცვალებულთა მფარველად, რომელთაც, მსგავსად თვით ოსირისისა, მკვდრეთით აღდგომა შეეძლო.

გვ. 139. ს ე თ ი — ღმერთი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ თავდაპირველად ომბოსში, შემდეგ კი, როგორც ჩანს, მთელს ზემო ეგვიპტეში. უფრო გვიან სეთი ითვლებოდა უცხო ქვეყნებისა და უდაბნოთა ღმერთად, ძმად და მკვლელად ოსირისისა, ამ უკანასკნელის ძესთან, ჰორთან ერთად ბრძოლაში დამარცხებულად.

გვ. 140. (მოთქმა სატრფოსი) — წარწერა ზემო და ქვემო, ორთავ ეგვიპტის მექურკლეთუხუცესის ნეფერსეხერუს აკლდამაში (კომ-ელ-აჰმარი). ეს თანამდებობა მას, როგორც ჩანს, ძვ. წ. XII ს. ეკავა.

გვ. 141. (წუთისოფლის სამღურავი) — წარწერა „ახალი სამეფოს“ ეპოქის აკლდამაში № 137, თებეს ნეკროპოლი.

გვ. 142. (მიცვალებულის დატირება) — 1. წარწერა საფლავის სტელაზე პტოლემეაიოსის ეპოქისა (ძვ. წ. III-I სს.). დატულია ლეიდენის მუზეუმში.

გვ. 143. 2. წარწერა მემფისის უზენაესი ქურუმის მეუღლის სტელაზე პტოლემეაიოსის ეპოქის მიწურულისა (ძვ. წ. 42 წ.). ბრიტანეთის მუზეუმის კრებულიდან.

შენიშვნები ი. კაცნაელსონისა

შ ი ნ ა ა რ ს ი

მთარგმნელისაგან 5

ს ა ტ რ ფ ი ა ლ ო ნ ი

(ძალა სიყვარულისა)	9
მშვენიერი და სასიხარულო სიმღერების დასაწყისი — მღერის დაია, როცა იგი მინდვრიდან ბრუნდება	15
სასიხარულო სიმღერების დასაწყისი	23
(მისი ბალის ხეები)	26
პირველსიტყვა სიხარულის მომნიჭებლისა	33
(სამი სურვილი)	43
დასაწყისი წარწერებში ამოკითხული ტკბილსასურველი გამო- თქმებისა, რომლებიც ნახტ-სობექს ეკუთვნის — ნეკ- როპოლის სწავლულს	47
(მდინარის პირას)	52
(ფრაგმენტები)	57
(ქარი)	59
(სატრფიალო სიმღერა)	60
(ქურუმი პატორისა)	61
(მარადიული სიყვარული)	63
(მოსიყვარულე შეუღლის ქება)	65
(ფტაჰოტეპას შეგონებებიდან)	66

(სამიჯნურო შელოცვა)	69
(მეჯლისი ბაღში)	71
(ღრეობა)	72

ფ ი ჯ რ ე ბ ი

(გულგატეხილი კაცის დავა საკუთარ სულთან)	75
სიმღერა წარწერილი არფაზე მომღერლის ფერხით, სასახ- ლეში აწ განსვენებულის მეფის ანტეპისა	82
(ქება სიკვდილისა)	85
(სწავლულთა ქება)	87
(ალაბი)	93
(მემფისის მონატრება)	96
(სართელო)	98
(წარწერა ყავეარჯენზე)	100

ჰ ი მ ნ ე ბ ი და მოთქმანი

ნილოსის ქება	103
ჰიმნი მზისადმი	112
(ქალღმერთს)	121
(დილის მზისადმი)	122
(ღამეს)	123
(დედოფალი ხათშეფსუთი ნელსაცხებელს წყავს თვისი მამის, ამონისათვის)	125
(ქალღმერთ პატორს)	126
(ქება შვიდ პატორს)	133
(შეხვედრის მოლოდინი)	136
(მოთქმა ოსირისისა ისიდას მიერ)	13
(მოთქმა სატრფოსი)	140
(წუთისოფლის სამღურავი)	141
(ძიკვალებულის დატირება)	142
მ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი	149

ЛИРИКА ДРЕВНЕГО ЕГИПТА

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвелო»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1969

რედაქტორი ც. ჯაფარიძე
მხატვრული რედაქტორი რ. მახარაძე
ტექნიკური რედაქტორი შ. ძოწენიძე
კორექტორი ე. ჟვანია

გადაეცა წარმოებას 30/1-69 წ.
ხელმოწერილია დასაბუქდად 26/11-69 წ.
ქაღალდის ზომა 70×108¹/₃₂
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7,05
სააღრ.-საფამომც. 4,38.
ტირაჟი 14000. შეკვეთის № 359.
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат Издательства
ЦК КП Грузии, ул. Ленина, 14.

